

ალექს ჩილვინაძე, შოთა დილმელაშვილი, დათო ბარბაქაძე
არა რეალურად

მერწყული

Alex Tschigwinadse
Schota Digmelaschwili
Dato Barbakadse
NICHT REALISCH

წიგნი განეკუთვნება მიმოწერითი ლიტერატურის ჟანრს და დოკუმენტური და მხატვრული პროზის ნაზავია. ის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს მხოლოდ პოეზიასთან დაახლოებული მკითხველისთვის, სხვები ტყუილად ნუ მოცდებიან.

გამომცემელი: დათო ბარბარაძე

გამოიცა გამომცემლის ხარჯით

წიგნის გასაფორმებლად გამოყენებულია გერმანელი მხატვრის **Marion Menzel-ის** ინსტალაცია: **ნაკითხული**

პირველი გამოცემა

ISBN 978-9941-0-2442-9

ალექს ჩილვინაძე
შოთა დილმელაშვილი
დათო ბარბაქაძე

არა რეალურად

მერცხული
თაგილისი
2010

ალექს ჩილვინაძე - დათო ბარბაქაძე

CHAT-კომუნიკაციებიდან

05.09.07

ციურიხი-თბილისი. 22:26 – 22:53

- ღამე მშვიდობისა, დათო!
- ჰაი!
- როგორ ხართ?
- რა გვიჭირს. მომისმინე, skype-ში თუ ხარ ჩართული?
- არა, სამწუხაროდ. სად ხართ ამჯერად?
- კაი. ახლა შვეიცარიაში ვარ. წიგნი გამოვიდა?
- დიახ, თვის ბოლოს პრეზენტაცია გვექნება.
- გილოცავ. შენს რაზმსაც გულით მიულოცე ჩემი სახელით.
- დიდი მადლობა. როდის ჩამოდიხართ? და, საერთოდ, როგორ მიდის "საქმეები"?
- ჯერ არ ვიცი. გერმანიაში ჩემი წიგნი გამოდის ერთ თვეში და პრეზენტაციაში უნდა მივიღო

მონაწილეობა. ავსტრიული პოეზიის მომავალი ტომებისთვისაც მასალებია შესაგროვებელი და დასამუშავებელი.

- ჰეი, მაგარია... გილოცავთ...
- "საქმეები" მე დღემდე არასდროს მქონია, კაცმა რომ თქვას. არც გერმანიაში და არც საქართველოში.
- წიგნი თქვენი გერმანულად... იმიტომ არის ბრჭყალებში.
- ჰო, გერმანულად. გმადლობ!
- არ ვიცი, რა გითხრათ... მინდოდა წერილის მოწერა თქვენთვის, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, იმდენჯერ არ გამომივიდა. ის, რისი თქმაც მინდოდა, თითქოს ჩემთან რჩებოდა... ნუ, მოკლედ... მიხარია, რომ გიცნობთ...
- Danke, danke! თავს საქართველოს გარეთ ყველგან კარგად ვგრძნობ. შეიძლება იმიტომ, რომ საქართველო მართლა სიგიურემდე მიყვარს და ყველაფერი გულთან მიმაქვს, რაც მაგ სალორეში ხდება. ყველაზე მტკიცნეული კი მაინც ის არის, რომ მანდ ყოველთვის სალორე იქნება.
- იმედია, მეც ვიგრძნობიგივეს რამდენიმე ხანში...
- არა, თუ ახლა არ გრძნობ, ველარასდროს იგრძნობ. ხოლო თუ გრძნობ, ეს გრძნობა გაგიმძაფ-

რდება.

- არა, მე ამ გრძნობას საზღვარგარეთ ვგული-სხმობ, თორემ მესმის თქვენი.
- ჰო, ეგრეა. უბრალოდ, ყველას მაგივრად ვი-ყავი შეურაცხყოფილი, როცა გავიგე, თბილის-შირალაც აკუა-პარკი რომ გაუხსნიათ და შესვ-ლა 50 ლარი ღირდა. მე აქ ყოველდღე აუზში დავდივარ და მთელი დღით შესვლის ღირე-ბულება 2 დოლარია, მაგ საღორეში კი რამდენ-იმე საათში ეგ მათხოვრები 50 ლარს ითხოვენ. ეს უკვე პოლიტიკაა, ხალხის შეგნებული დამ-ცირება. ერთი ჩემთან გაბედოს და იბლატაოს ვინმე იდიოტმა, რომ მაგ აკუაში თუ რაღაცაში ნამყოფია.
- ხო, ეგრეა... მაგრამ ეხლა გამოგიგზავნით რამ-დენიმე ტექსტს, რომელიც ჩემმა მეგობრებმა ამ წუთში გამოაქვეყნეს... და წერილს, რომელ-იც ჩემს მეგობარს მივწერე და მგონი ეს ყვე-ლაფერი გადაჩრდილავს მაგ აუზსაც და...
- კაი, ვნახოთ.
- გილიმით...
- ვხედავ.
- გამოგიგზავნეთ, ახლა წავალ, ღამე მშვი-დობისა.

- მივიღე. ვერ შეგპირდები, რომ ახლავე წავიკითხავ. ხვალ მექნება დრო. აბა, დროებით.

09.09.07

ციურისი-თბილისი. 23:38 – 00:56

- ღამე მშვიდობისა! როგორ ხართ, რა ხდება თქვენსკენ? როგორ მიდის წიგნის და საერთოდ მადაური ამბები...

- ღამე მშვიდობისა. წავიკითხე ტექსტები. სასიამოვნოა, რომ წაყოფიერად მუშაობთ შენ და შენი მეგობრები. მაქვს ერთი შენიშვნა:

- გისმენთ.

- მეჩვენება, რომ სიტყვა უფრო მეტია, ვიდრე შინაარსი. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ რაღაც მომენტში ერთ ადგილს ტკეპნით ან რაღაც საინტერესო კრიზისია. გარდა ამისა, აქციის სურვილი და რაღაცის შეცვლის სურვილი წინ უსწრებს თვით სიტყვაზე მუშაობის ვნებას. ძალიან ბევრი თემაა, ყველა თემის უკან კი დგას ერთი, საკმაოდ მოძველებული სათქმელი, რომელსაც UBU.WEB.-ის ძლიერი სუნიუდის.

- შეიძლება, არ დავფიქრებულვარ, ისე, მაგ ტე-

ქსტებს მართლა, თქვენ რომ გელაპარაკებოდით, იმ მომენტში ვკითხულობდი, ვგზავნიდი წერილს და ვწერდი...

- ერთი რამ არასდროს გამოგეპაროს მხედველობიდან: ყველაფერი, რაც ინტერნეტში უფასოდ ყრია ან რასაც იოლი უესტებით გიჩვენებენ, უკვე ძალიან ძველია, თითქმის ქვის ხანაა. ეს არ უნდა გამოგეპაროს. განსაკუთრებით ეხება ეს აქციის ხელოვნებას.

- თუმცა, არალეგალური კოსმონავტიკა საინტერესო პროექტია...

- თვით ლიტერატურის, ხელოვნების გარეთ გატანილი აქციის ხელოვნება უკვე იმდენად დაბერდა, რომ უნაყოფო დეკორაციად არის გადაქცეული... კი, გეთანხმები. ოღონდ, ხაზს ვუსვამ, თემატურად შეზღუდულია. არსებითი შეცდომა: სხვას მოუწოდებთ იმისკენ, რაც თავად უნდა აკეთოთ!!!

- ჰოდა, ეხლა გვინდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების დაღუპული პილოტების მემორიალის გახსნა.

- ფურცელზე?

- არა, რეალურად.

- მანდ წააგებთ!

- რატომ?

- იმიტომ, რომ ფიქსაცია გავა ლიტერატური-დან და იმ ტერიტორიაზე განთავსდება, სადაც ხელოვნების გარეშეც კარგად ცხოვრობენ. მეტაფორა ძლიერია ყოველთვის იქ, სადაც ხელოვნება თავის იარაღებს იყენებს და არა სოციალურისას. ეს კრიზისი ევროპულ ხელოვნებაში სახეზეა. ამაზე აქ უკვე ბულვარულ გაზეთებშიც კი წერენ.

- ვიფიქრებ ამაზე... თუმცა, მნიშვნელოვანი ის არის, რომ როცა ეს ტექსტი დაწერა ჩემმა მეგობარმა და შემხვდა, როგორი აღფრთოვანებით მიყვებოდა, მართლა გასხივოსნებული კოსმონავტივით... და, ალბათ, ის, რომ აღფრთოვანებაში შეერთება არ შეუძლიათ ადამიანებს, ეს იწვევს ყოველგვარ კრიზისს... კარგად ვერ გამოვხატე, რისი თქმაც მინდოდა, მაგრამ... თუმცა, იმ ტერიტორიაზე გასვლა, სადაც ხელოვნების გარეშეც კარგათ არსებობენ, ყოველგვარი სიყალბისა და მხოლოდ ცარიელი კოპირების გარეშე გულწრფელობით... - გასაგებია, და სწორედ მანდ არის საჭირო დისტანცია, თუნდაც 10 წუთით. რაც შეეხება ინფორმაციებს: ჩემი მუშაობის ერთი მნიშვნელო-

ვანი პრინციპია: ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურო იმას, რაც იოლად მოიპოვება. ეს ჩემი პრინციპია და თავს არ გახვევ, მხოლოდ გიზი-არებ. ესთეტიკური აწმყო, ხელოვნების აწმყო, არანორმალურად ძვირი ღირს. ერთი სიტყვით, მე ხელოვნების სახელით ხელოვნების გარეთ გასვლის მომხრე არა ვარ, ამას არახელოვანი, მაგრამ გულწრფელი ადამიანებიც ძალიან ვარგად ახერხებენ.

- გარი სნაიდერის ერთი წიგნი მთავრდება ასე, რომ "მე მითხრეს, რომ ახლა ამ წიგნს კოცონის პირას კითხულობენ მეტყევეები, რომლებთ-ანაც მევმუშაობდი და მე ამით ბედნიერი ვარ" ... გარი სნაიდერი ძალიან გგავთ თქვენ...

- საინტერესოა. მეთოდში განსხვავება ასეთი იქნებოდა: მე ბედნიერი ვიქნებოდი მხოლოდ მას მერე, როცა მეტყევეებს ჩემი ლექსები იმ-პულსს აღუძრავდა, თვითონაც დაეწერათ რამე.

- და თუკი, უბრალოდ, უფრო კეთილი, უფრო გულწრფელი გახდება, ეს ხომ უკვე მიღწევაა... თქვენი მუშაობის პრინციპის შესახებ, სულ პირველ წერილში მომწერეთ და მართლა უნდა გიმადლოდეთ იმას, რომ მე ეს გავიგე... ოღონდ

არა მხოლოდ გონებით. ერთ რაღაცას მოგიყვებით...

- არა, მე ამის არ მჯერა. ადამიანები უფრო კეთილები ასე არ ხდებიან. მათ უჩნდებათ სურვილი, რომ კეთილი და კეთილშობილი იყონ, მაგრამ გასხივოსნების სურვილი ამაში ხელს უშლით. როგორც წესი (და ფილოსოფიაში ეს ცნობილია), ადამიანები ამ სიკეთის სახელით მერე ძალიან ბევრს ითხოვენ სხვებისგანაც და საკუთარი თავისგანაც...

- რამდენიმე ხნის წინ ვიყავით პახოდში ნუნისში, და ლამე წავედი მარტო, ავედი ტყეში, სადაც გამოქვაბულებია, რომლებშიც ეძინა 10 საუკუნის წინ ბერს, დავანთე ცეცხლი, შემდეგ ვილოცე და ამ გამოქვაბულში დავიძინე. გამოენისას რომ წამოვედი მინდვრისკენ, სადაც კარვები იყო გაშლილი, ტყეში დავადექი ერთ ბილიკს და მივხვდი, რომ ყველას "თავისი გზა აქვს", ეს მანამდეც მითქვამს, მაგრამ იმ მომენტში მართლა მთლიანად ჩავწვდი ამის მნიშვნელობას, და ასე დამემართა, როცა თქვენ მომწერეთ, რომ მხოლოდ შრომით შეიძლება მიაღწიო იმას, რისკენაც წახვალ...

- მითუმეტეს, ლაპარაკი ზედმეტია ამ დროს მი-

ღწევებზე. ეს თვით პოეტებმა კარგად იციან. 60-იან წლებში ამერიკულ აბსტრაქტულ ექს-პრესიონიზმში საინტერესო სათქმელი და ეს-თეტიკა იყო, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ხელოვნების და მიღწევების ურთიერთშეთავსება მოინდომეს, უბრალოდ, ბანდიტებად ჩამოყალიბდნენ. ასეთი ბანდიტი იყო, მაგალითად ჯასპერ ჯონსი, ასევე სხვები. როცა მათ სათქმელი აღარ ჰქონდათ, ფულის კეთებაზე გადავიდნენ. მე ვნახე ბაზელში ჯასპერ ჯონსის გამოფენა. ეს ნაგავი იყო, მეტი არაფერი, როგორც ნაგავია ციურიხის ხელოვნების მუზეუმის კოლექციის 90 პროცენტი. სამწუხარო ისაა, რომ ეს ნაგავი უკვე იყიდეს მდიდრებმა და ახლა უფრო ძვირად ყიდიან სულელებზე. პლატონს და დეკარტს გაეცინებოდათ არა ჯასპერ ჯონსის პირველ ნამუშევრებზე, არამედ - მეორეზე, მესამეზე კი გული აერეოდათ.

- "რა უბრალო ვარ როცა იშლებიან ყვავილები". რამდენიმე დღის წინ დავწერე, თუმცა შეიძლება რომელიმე იაპონელმა პოეტმა უკვე დაწერა ეს... რაც შეეხება ნაგავს... მას ხომ გადაყრიან ოდესმე...

- არა, ნაგავს სანამ გადაყრიან, უფრო ბევრი ნა-

ნაგავიშეიქმნება, რომელიც გადაყრილი ნაგვის გამო შურს იძიებს. პლატონი იტყოდა, რომ სჯობს ყოველთვის პირველი ნამუშევრების გულწრფელობის ერთგული დარჩეს მხატვარი. პლატონი კი პოეტი იყო. დაუკვირდი: ის იყო პოეტი, რომელმაც პოეტები გაყარა თავისი სახელმწიფოდან. რატომ მოიქცა ასე?

– ალბათ, იმიტომ, რომ სახელმწიფო უტოპიური ნაწარმოებია...

– არა მგონია. მე ვფიქრობ, უბრალოდ, მან ვერ გაიმეტა პოეტები ისეთი სახელმწიფოსთვის, სადაც ისინი არავისთვის იქნებოდნენ საინტერესო. პლატონის სახელმწიფოში პოეზიის-თვის ადგილი აღარ არის. არის მხოლოდ რაღაც ისეთი, რისი ჩანასახებიც დიდი ხანია იგრძნობა სახელმწიფოს ევროპულ მოდელში. ეს რაღაც იგივეა, "გუგულის ბუდეში" მაკ მერფი რომ გუდავს ინდიელს. პლატონს არ შეეძლო არ დაეწერა "სახელმწიფო". მე ამ ნაწარმოებს ვკითხულობ არა როგორც უტოპიას, არამედ - როგორც მახვილგონივრულად მოფიქრებულ გაფრთხილებას. თუმცა, მე "გუგულის ბუდეში" მაინც ის მომენტი მიყვარს, აბაზანაში ნიუარას რომ ვერ აძრობს და ამბობს, "მე ხომ მაინც

ვცადეო".

- ეგ ჩემი საყვარელი სიტყვებია, რომელსაც ხშირად ვიმეორებ. უტოპია ხომ შეიცავს მერე თავის თავში გაფრთხილებას....
- ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ პლატონს კასტრირებული პოეტები არ სურდა... არა, არ შეიცავს. ანტიუტოპია შეიცავს. თომას მორის ან სხვების უტოპიები სულაც არ შეიცავს, ისინი გულწრფელად არის დაწერილი. პლატონის "სახელმწიფო" კი გამონაკლისია, ძალიან ეშმაკური წიგნია.
- ჰო, რატომღაც ეს გამახსენდა, არ ვიცი, რატომ: "გაიქეცი, მაგრამ ზურგსუკან კარი მოიხურე, რათა შენს მერეც გაქცევაზე იფიქრონ და არა გასვლაზე".
- მე ვფიქრობ, პლატონმა კიდევ ერთხელ მოინდომა მოგვიანებით პოეზიაში დაბრუნება, მაგრამ არ გამოუვიდა, სუსტი ლექსების წერას კი "სახელმწიფოს" დაწერა არჩია. ვაჭარბებ, მაგრამ ასე ვხედავ.
- შეიძლება არც აჭარბებთ... მაგრამ ვინ თქვა, დასაწყიში მოდის ლირიკა, შემდეგ - დრამა, ბოლოს - ეპოსი... მერე კი სამივე ერთად... ალბათ, ჯერჯერობით ჩვენშიც ლირიკაა მხოლოდ...

- სად "ჩვენში"?

- "ჩვენ ვაგროვებდით ორფეოსის მზერის ნაწილებს მიღმა სიტყვათა ჩვევების დამკვიდრებად რომ იქცნენ". ჩემსა და ჩემს მეგობრებში...

- არის გულწრფელობა, რომელსაც უკვე შეერია სწრაფად დამკვიდრების სურვილი და იმის სურვილიც, რომ ფანტომებს აჯობოთ, მაგრამ ამაში არაფერია საგანგაშო, ადგილობრივი კონტექსტის ხრიკებია და ამ ხრიკებს უნდა დაუძვრეთ. ამის მერე მოვა ლირიკა. დარწმუნებული ვარ, მოვა.

- სანდრომ მოგიკითხათ, ჩემმა მეგობარმა. შენსავით შეიძლება ვერა, მაგრამ მეც მიყვარსო...

- Danke! ჩემგანაც მოიკითხე.

- აუცილებლად.

- ახლა დაგემშვიდობები, თორემ რაღაცეები უნდა მოვასწრო ხვალისთვის.

- ხო, მეც მეძინება უკვე... ღამე მშვიდობისა! მიხარია, რომ გელაპარაკებით... მე და სანდრო ლექსის წერას ვიწყებთ ერთად და პირველი ფრაზა თქვენ დაიწყეთ...

- აბა, მაგრად იყავით!

- ეგ ფრაზა იყოს?

- არა მგონია.

- ძილის პირს ერთ ლექსს დავწერთ... და თქვენ არ დაიწყებთ?
- არა. თბილისში ერთი კარგი გერმანელი ბიჭია, დომინიკი. ინგლისური, ასეთუ ისე, იცის. დაუკავშირდით და სადმე წაიყვანეთ, სოფლად ან სადმე ქალაქებარეთ.
- და კოორდინატები მოგვეცით და შევეცდებით.
- რას შევეცდებით?
- ერთად წავიყვანოთ სადმე... ან სოფლად ან ქალაქებარეთ...
- მოიცა, მოვნახავ.
- პოეტია?
- 895 765345. თითქმის ყოველდღე ჩემს სამსახურში, ჩემს ოთახში, ზის და მუშაობს ხოლმე. ჩემი სახელით დაუკავშირდით, რამე დანჯლრეული ავტობუსი მონახეთ, კარვები აიღეთ და სადმე ისეთ ადგილას წადით, საიდანაც გადმოხედვა შეიძლება. არ ვიცი, ძალიან ძვირი იქნება? მაგალითად, გურიაში რომ წაიყვანოთ. იქ ერთი მონასტერია, ჯუმათი. იქ ადით და იქიდან გადმოახედეთ. პრინციპში, იქ ბერებთან ლამის გათევაც შეიძლება. მწერალია, თქვენი თაობის. მისი სახელი და გვარია: Dominik Irtenkauf.

- კარგით, იქით კვირაში ვაპირებდით გასვლას
და თუ რამემ არ შეგვიშალა ხელი, დავუკავ-
შიოდებით... აბა, ლამე მშვიდობისა...

28.12.07

თბილისი-თბილისი. 18:42 – 19:17

- გამარჯობა, დათო! როგორ ხარ?
- გამარჯობა. რა მიჭირს. შენ?
- დათო, ბოდიში, რომ ვეღარ გნახეთ, წიგნს რომ
შეგპირდით, მაღაზიებში გათავებული იყო და
მეც აღარ მქონდა, ახალი წლების მერე გამოვა
შემდეგი ტირაჟი...
- ეხლა ვაპირებდი მომენტა...
- დღეს დათო ჩიხლაძემ რომ გითხრათ, 30-ში
წინამდლვრიშვილზე... ახლა გაიხსნა კაფე, ისე-
თი მყუდრო და არაპრეტენზიული... "ადგილი"
ჰქვია.
- სად არის კონკრეტულად?
- წინამდლვრიშვილის 69, მარჯანიშვილის და
წინამდლვრიშვილის გადაკვეთაზე. ჰოდა, იან-
ვრიდან ყოველდღიურად იქნება ლექციები,
პოეზიის საკითხებზე, აკუსტიკური კონცერტ-

ები, პერფორმანსები და ასე შემდეგ.

- დათოს პერფორმანსი 8 საათზეა, არა?
- ჰო, დათოსი ხო. ვიფიქრეთ, რომ იმ თვეში, რომელიმე დღეს, ხომ არ წაიკითხავდით ლექციას... თუნდაც, 2 - 7 იანვრამდე, ან მერე, რა თემაზეც გინდათ...
- მოიცა, რა, მაშაყირებ? რა დროს ლექციებია. მე რაც ვიცი, იმაშიც ეჭვი მეპარება და სხვას რა ლექციები წავუკითხო?
- რაშიც ეჭვი გეპარებათ, თუნდაც ის...
- გამორიცხულია. ათი წელი ვკითხულობდი ლექციებს. ახლა მრცხვენია, ამდენი ხნის მერე. მრცხვენია, ლექციებს რომ ვუკითხავდი სტუდენტებს.
- რატომ, კაცო? არა მგონია, ვინმეს ეს თქვენზე კარგად მოეხერხებინა...
- მერე რაში?! ფილოსოფიაში, ლოგიკაში, რელიგიის ფილოსოფიაში, ესთეტიკაშიც კი. ნამდვილი სიგიჟე იყო... კი, მოვახერხებდი, მაგალითად, ხუთი წლის წინ. ახლა - ვეღარ.
- რავი, მგონი, თქვენი ესეებიდან... აი, კარლოს ესეები რომ წავიკითხე, რაღაც, ეტყობა, რომ დაწერილია რამდენიმე წლის წინ და თქვენი პირიქით...

- ჩემი შემოქმედების გამოცემაზე ვთქვი უარი და ახლა ხალხს ლექციები ვუკითხო? მე უკვე დავიწყე ჩემი ახალი პერფორმანსი და ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდება. მე მჯერა, რომ ამ პერფორმანსის დამნახავი თვალი არსებობს.
- არც პოეზია, არც თარგმანები? მგონი, საქართველოში ბევრი არ არის ისეთი ადამიანი, ვისი შემოქმედებაც ეგრე მნიშვნელოვანი იყოს...
- თარგმანებს, ცხადია, გამოვცემ. თუნდაც ჩემს ავსტრიულ პოეზიას, უკვე ოთხი ტომია გამოსული და მუშაობას ვაგრძელებ. გარდა ამისა, უკვე თავი მოვუყარე ჩემს გამოცემულ ლექსებს და ერთად შეკრულს გამოვცემ, ფული როცა მექნება.
- ძალიან მაგარია. იმედია, შევხვდებით დათოს პერფორმანსზე... და გავაგრძელოთ ამაზე საუბარი. სასაცილოა: რომ გელაპარაკები, არ ვიცი, თქვენობით მოგმართო თუ შენობით, ახლაც კი თქვენობით უფრო "კომფორტულად" ვგრძნობ თავს, რაღაც მასწავლებლისადმი განწყობა მაქვს შენდამი... გავდივარ ეხლა... მრავალ შობას და ახალ წელს დაესწარით....
- აბა, დროებით. მეც გილოცავ. რა თქმა უნდა, შენობით.

27.08.08

თბილისი-თბილისი. 14:42 – 16:33

- როგორ ხარ, დათო?
- რა მიჭირს, ვმუშაობ. შენ რასა იქმ?
- არამიშავს მეც. ემზადები წასვლისთვის?
- კი, ნელ-ნელა. აქ ბევრი საქმეა და ვცდილობ, მოწესრიგებული დავტოვო.
- ხო ვერ დაგეხმარები რამეში?
- არა, არა, გმადლობ, პირწმინდად სამსახურე-ბრივი მოვალეობებია. გარდა ამისა, მე-13 ტომი ჩავუშვი და ველოდები მოუთმენლად სასიგნა-ლოებს, მე კი ამასობაში მე-6 ტომზე მუშაობას ვამთავრებ... "კვამლისავით" არა, უფრო "კვამ-ლივით". წავიკითხე ამასობაში. ხომ არ გეწყინება, თუ გეტყვი, რომ შენ ჯერჯერობით სიტყ-ვებს პატივს არ სცემ. შენ მათ მხოლოდ იყენებ. მართლა ძმურად გეუბნები ამას. მეც იგივე მე-მართებოდა დიდი ხნის წინ.
- ხო, გეთანხმები დათო. მაგრამ ეგ არ არის ჩემი ლექსი.
- ნეტი გამეთიშა და ეხლა ჩაირთო. რას ამბობ-დი?
- ჰო, მივხვდი. ჰოდა, ძალიან ბევრი სიტყვაა მე-

თქი, თან ისეთი, პოეზია რომ ვერ იტანს. ერთხელ ჩემი მათემატიკოსი დეიდაშვილი ამბობდა ვიღაცაზე, ნახე, თვეში რამდენ სტატიას წერს, ამით მათემატიკას შეურაცხყოფას აყენებსო. აქ მთლად ეგრე არაა, მაგრამ დაახლოებით მაინც.

- მეორადი მოხმარების სიზმრები, დაახლოებით მაგის მიხვედრის შემდეგ დავწერე და მაინც იგივე განცდა გამიჩნდა მერე.
- ერთ ფაქტს გაგიზიარებ. ჩემი ბავშვი რომანს წერს. 8 წლის იყო, რომანის წერა რომ დაიწყო. ახლა 10 წლისაა და ისევ იმ რომანის წერას აგრძელებს. არ ვკითხულობ შეგნებულად. ხომ იცი, მწერლის შვილი და ასეთები. მინდა, ღმერთთან მართალი ვიყო, რა იცი, რა გამოდის. იცი, როგორ დაიწყო ეს ამბავი? დაიწყებდა რაღაცის წერას და იმ დღესვე უნდა დაემთავრებინა. სათქმელი ბევრი ჰქონდა და მიაფუჩეჩებდა ხოლმე. საცოდაობა იყო, დაიწყებდა რაღაც მასტაბურს და მერე ნაჩქარევად დაამთავრებდა ხოლმე. ერთხელ ავუხსენი, რომ სულაც არ იყო აუცილებელი, იმ დღესვე დაემთავრებინა ნაწარმოები და რომ შეეძლო დაესვენა და მეორე დღეს გაეგრძელებინა. მაშინვე მიხვდა, რასაც

ვურჩევდი. იმის მერე წერს. და მივხვდი, რომ საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მასში რაღაც არსებითი ცვლილებები შეიტანა. გასაოცარია პირდაპირ, თვალს რომ ვადევნებ, როგორ ცხოვრობს იმ თავისი ნაწარმოებით.

- რა საყვარელი იქნება, წერის პროცესში და სასაცილო, მთელი სერიოზულობით, ხომ?
- ძალიან უნდოდა, რომ წამეკითხა. ვუთხარი, ბოლო წერტილს რომ დასვამ, მაშინ წავიკითხავ მეთქი. მოკლედ, დღემდე წერს, ოღონდ - მხოლოდ მაშინ, როცა მართლა ეწერება. უკვე მესამე რვეულზეა გადასული. ხომ ხვდები, მთავარი რაც არის ამ დროს: მას თავისი სამუშაო ზრდის, ისინი ერთმანეთს ფეხდაფეხ მიუყვებიან.
- ხო, მივხვდი, დათო, რისი თქმაც გინდა, მეც მაგის იმედი მაქვს.
- მოკლედ, რისი თქმა მინდა...
- ისე, წასვლამდე შეგვეძლო ლუდი დაგველია, თუ მოიცლი...
- სიტუაცია ურთულესია და შენს თაობას ბევრი მიმართულებით ექნება ფრონტი გასახსნელი, ამას ვერ აცდებით. მემკვიდრეობა, რომელიც ჯერ ჩემს თაობას, მერე კი შენს თაობას

დაუტოვეს, არაადამიანურია... ვნახოთ. ხომ
იცი, გამიხარდება, მაგრამ ბევრი საქმეა. ვნახ-
ოთ... ამ მემკვიდრეობიდან გამოსვლა იოლი არ
იქნება. მათ არაფერზე პასუხი არ აგეს, ხომ გე-
სმის, უბრალოდ, სიტუაციას შეახოცეს ხელი.

- გახსოვს, დათო, მამარდაშვილი რომ წერს ამ
მემკვიდრეობაზე. ჰერი გაუღენთილია და, თა-
ობებია უკვე, ამ ჰერში ვიბადებით...

- რაც ჩვენმა მამებმა ჩაიდინეს, იმას მტერიც
კი არ იზამდა. კი, ხშირად ამბობდა, რომ ჩვენმა
მამებმა ჩვენ გაგვძარცვეს. მაგრამ ლიტერ-
ატურაში ეს ყველაფერი სხვა კუთხით შემო-
ბრუნდა.

- ანუ?

- ქართულ სამწერლო სცენაში ძველბიჭური მო-
რალია გაბატონებული და ეს კარგი იარაღი აღ-
მოჩნდა ყველასთვის. ყველა ხვდება, რომ ეს
მენტალიტეტი მათ რაღაცისგან ათავისუფ-
ლებს. პირველ რიგში - პასუხისმგებლობისგან.
ყველაფერი იოლი გახდა, ხომ გესმის: ღალატი,
არაკაცობა, ვილაცის განირვა. ყველაფერი გამ-
არტივდა. მწერლებმა ისე დაიწყეს ცხოვრება,
თითქოს სიტყვა არ არსებობდეს. თან ეს ეშმა-
კობა ყველაფერში, გაუტანლობა. ადრე ცდი-

ლობდნენ ამ ყველაფრის ჩუმად კეთებას, ახლა
აღარ მალავენ.

- და რა უნდა გააკეთო მაგ შემთხვევაში? ერ-
თადერთი, ალბათ, მოიქცე ისე, როგორც შენ
იქცევი, იგნორე, და აკეთო შენი საქმე.

- არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ მწერლო-
ბა პიროვნებების, მარტოსული ადამიანების
სამშობლო აღარ არის. ყველა ერთმანეთს უთ-
ვალთვალებს, ნიჭიერიც და უნიჭოც. ჩემი შემ-
თხვევა ძალიან საინტერესოა პირადად ჩემთ-
ვის. მე არ დამითმია. არ ვაჭარბებ და არც ვამაყ-
ობ ამით. უბრალოდ, არ დამითმია და ამისთვის
ცალკე მაგებინებენ პასუხს, მე ეს ვიცი. ეს არ
არის ხარისხის ნიშანი. უბრალოდ, ჩემი ბიოგრა-
ფიიდან და ბევრი მომენტიდან გამომდინარეა,
რომ მარტო აღმოვჩნდი. ამას თავისი მიზეზე-
ბი აქვს. მე მაინც ის მამშვიდებს, რომ ჰაერში
არ ვარ გამოკიდებული და ჩემს ყველა ქმედე-
ბას სხვა სასწორზე ვწონი. მთავარია, სასწორი
არსებობს. აქელემენტარულად ურთიერთობის
კულტურა არ არსებობს და სამწერლო კულ-
ტურაზე ლაპარაკი ხომ ფუფუნება იქნებოდა.
- დიდი ხანია ამ თემაზე არ მიღაპარაკია და ვერ
ვახერხებ ჩამოვაყალიბო. ერთია, რომ შენი

მთლიანად მესმის იმიტომ, რომ ეს სივრცე მართლა საოცრად გამაღიზიანებელია, არანაირი სურვილი არ მაქვს, საერთო მქონდეს ამათ "სერიოზულ კულტურასთან" და საინტერესოა, რომ ჩემი რაღაც ისეთი, შეიძლება ახალგაზრდული, არ ვიცი, და შენი ამდენი ხნის გამოცდილებით გაკეთებული დასკვნები ერთმანეთს ემთხვევა. დათო, გახსოვს, მგონი შარშან, გერმანიიდან მწერდი, რომ აქ აუზზე 3 ევროც არ ღირს, როცა საქართველოში ერთი შესვლა 50 ლარიაო. და მე გამოგიგზავნე რაღაც, რასაც იმ მომენტში ვაკეთებდი, ჩემი მეგობრის წერილი, და რაღაც ვეშები, რომ აი, ჩვენ ეს ვართ, ამას ვაკეთებთ... ანუ, ერთგვარად მინდოდა დამოკიდებულება მეჩვენებინა.

- კი, მახსოვს.

- ხანდახან მგონია, რომ ზედმეტად სერიოზულად ვუდგები ამ თემას. რომ არ არის საჭირო ამაზე ფიქრი, ყველაფერი თავისთავად მოხდება.

- ვერ დაგეთანხმები. გარდა ამისა, ეგ არ არის შენი გამოცდილებით მიღებული პოზიცია. ასე ფიქრობენ ისინი, ვისაც ძალიან ბევრი აქვს მიქარული და ახლა ასე ცდილობენ განეიტრალე-

ბას,: ვითომ აზრი არ ჰქონდეს ამ ყველაფერს და ასე შემდეგ. შენ ეს პოზიცია მხოლოდ ნაადრევად დაგაბერებს. სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვანაირად არის იქ, სადაც ჯერ ყველაფერი მხოლოდ იწყება.

- ხო, არა, რა გამოცდილებით! არც იმას ვამბობ, რომ აზრი არ აქვს. უბრალოდ, ესეთი განწყობა მაქვს პირადა მე. "დალოი ვაშურელიგიუ, დალოი ვაშულიუბოვ" ...

- ჩემი დაკვირვება ასეთია: ლიტერატურის ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც თუ ვინმემ შეძლო თავისი სათქმელის დამკვიდრება და რაღაცის შეცვლა ან ხედვის ახალი კუთხის მიგნება, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეს სერიოზულად უდგებოდა. დანარჩენი ყველაფერი იმისთვისაა, რომ ვიღაცეები არარსებული სიმსუბუქით მოხიბლონ, ხომ იცი, სიმძიმე ყველას ბეზრდება. მე თვალთმაქცობის მომხრე არა ვარ. დღეს ხელოვნების სამყარო იმდენად გამოცდილია, რომ მსგავსი სიმსუბუქეები მხოლოდ გააცინებს. დაუკვირდი: ადამიანები ორ სტრიქონს დაწერენ და იმათაც კი ამბიცია აქვთ, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს აკეთებენ. ადამიანის ბუნებაა ასეთი. და ვისაც მართლა თავისი თავი

ხელოვნებისთვის მიუძღვნია, იმის ამბიცია ყოველთვის ათასჯერ დიდია. უბრალოდ, ზოგი ისე იქცევა, აი, ოქროს მონეტა რომ ნახოს და უნდოდეს, მის მეტმა ვერავინ ნახოს, ხალხი წავიდ-წამოვიდეს და მერე მიირბინოს მონეტის ასაღებად. მოკლედ, ამაზე მეტი სიბრიყვე არ არსებობს. თავისით კი არსად არაფერი გვარდება. თავისით მხოლოდ ესა თუ ის რეალობა მიიღება, ნელ-თბილი (როგორც იესო ამბობს). ნელ-თბილი კი არაფერი არ ვარგა. ეს ორი გზა ყოველთვის იყო: ხალხური და ინდივიდუალური. პოსტმოდერნმა ხალხი დაასაქმა, მასები, ასიათასობით ადამიანი. ინდივიდუალური ხელოვნება კი თავის გზას მიჰყვება და ხალხური ხელოვნების მიღწევებსაც იერთებს. ხალხურ ხელოვნებაში ყველაფერი თავისით ხდება, ზედმეტი ძალისხმევა საჭირო არ არის. დაჯექი ქოთანზე რუსთაველის მეტროსთან ან რამე ასეთი და უკვე პერფორმანსია. თუ ამას ვინმე გიუი იზამს, დასცინებენ, თუ - დიუშანი, სტატი-ებს დაწერენ. სულ ეს არის.

- თუნდაც ვარდისფერი ავტობუსის შემთხვევაში, ეს იყო კარგი ავანტიურა, რომელსაც ისეთი აგდებული დამოკიდებულება ჰქონდა

მთელი ამათი სერიოზული კულტურისადმი, როცა კი ეს დამოკიდებულება გაქრა, ჩვენც დავიშალეთ, იმიტომ, რომ უკვე სხვა მიდგომები იყო საჭირო, ჩვენც თანდათან გავიზარდეთ. რა თქმა უნდა, მართალი ხარ ხელოვნების გამოცდილებასთან და იმაშიც, რომ თავისით ეს რეალობა მიიღება, რაც არის... თავისთავად, უბრალოდ განვითარების პროცესზე ვთქვი... თუმცა, ავანტიურა, ალბათ, არასწორია, ჩვენ ეს არ დაგვიგეგმავს, სწორედ თავისთავად დამოკიდებულებამ წარმოშვა, ალბათ.

- მომიყვანე ერთი დიუშანი მაინც, რომელიც დათანხმდებოდა გაქრობაზე და ვალიარებ, რომ ვცდები. როცა ნებისმიერი არტისტის გაქრობა საფრთხის ქვეშ დგება ან ის უკვე დავიწყების საფრთხის წინაშეა, მაშინვე ხმას იმაღლებს და ამბობს, რომ მის გარეშე სამყარო დაიღუპება. უბრალოდ, ამას ყველა თავისი ეშმაკობის შესაბამისად ამბობს.

- ჩემი ნეტი ახურებს. მოგივიდა ბოლო კომენტარები?

- კი, მოვიდა.

- მართლა ეგრე იყო, ალბათ. სავარჯიშოდ არც ჩვენი რეალობაა ურიგო, მაგრამ აქ ძალიან სუს-

ტი რეალობაა და მასთან დაპირისპირება იო-ლია.

- მე არ ვიცოდი, რომ დაიშალეთ. ეს კი მართლა იმის ნიშანია, რომ კარგად გიმუშავიათ...
- ბოდიში, დათო, მირეკავენ...
- კაი, მეც წავედი.
- დროებით.

29.10.08

ვენა-თბილისი. 11:37 – 12:56

- სალამი, დათო! როგორ ხარ? შენზე ვწერდი ეხლა ერთ პატარა სტატიას.
- ალექსას გაუმარჯოს! სტატიას????? მე არაფე-რი დამიშავებია, აქ ყველამ იცის!
- "შეიძლება დაწერო მასზე წიგნი და მთლიანად ერთი ლექსიდან ამოხვიდე, რომელიც შეიძლე-ბა მეორე ლექსის ბოლოში შეგხვდეს, ისე ზოგა-დად, ერთ მარტივ და უმნიშვნელო წინადადე-ბად შემოჭრილი ან ისე ნაზად და ამავე დროს ისე მკვიდრად ჩამჯდარი ტექსტში, თითქოს ქვეყნიერების შექმნის მომენტიდან ასე ყო-ფილიყოს. ავტორს კი, უბრალოდ, ეპოვნოს და

წამოეკრიფოს, როგორც მარგალიტები მდინარის ფსკერიდან. კითხულობ და უეცრად გრძნობ, რომ ამ სიტყვებმა შენ გონებას შეატოვა უამრავი ლამაზი კითხვა, მათგან ამოზრდილი პასუხების სახილველად კი მხოლოდ კითხვების გაგრძელება იქნება საკმარისი? ხვდები, რომ შენც რაღაც უნდა მოიმოქმედო, უამრავ და უამრავ გამოცდილებას შეუფარდო, შეადარო, ბოლომდე ჩაყვე, ჩაეძიო და როცა მტვერი გადაიწმინდება, ახალი ფენის დადებამდე მოასწრო და განთიადის სიზმრებს, მოლანდებების სუნთქვას მთელი არსებით შეეხო. კავშირების, დროების, მოქმედებების აღმნიშვნელი სულ სხვა სიტყვების, ზედსართავების, გარემოებების დანიშნულება გაზრდილია, თითქოს ტექსტი ჯადოსნური ჭაობი იყოს და რაც უფრო ცდილობ ამოსვლას, მეტად ეფლობი, შენი მოძრაობა..."

რომ დავამთავრებ, გამოგიგზავნი, ოღონდ, ალბათ, დიდი დრო დამჭირდება ამის დასაწერად.

- შენ ამას მანდ არ გაპატიებენ.

- არც მინდა. როგორ ხარ? როგორ მიდის შეხვედრები?

- მოიცა, ერთი, ილანას ფოტოს გამოგიგზავნი.

- მიდი... აუ, ის რა მაგარია, ადეიშვილი, გაგონილიც არ მქონდა, ეგ წიგნი იდება საჯაროში?
- კი, უნდა იყოს. მოიცა, მისი თარგმანები არ გამომიგზავნია?
- მადლობა ფოტოსთვის.
- მოიცა... ბესიკის რამდენიმე თარგმანი გამოგიგზავნე. მერე წაიკითხავ. ბესიკზე ჩემს წერილს ვეძებ.
- მივიღე თარგმანები.
- ვიპოვე, მოიცა... გამოგიგზავნე წინასიტყვა ბესიკის წიგნისთვის, რომელიც დიდი ხნის წინ დავწერე. რაც იქ წერია, არაფერი გადაჭარბებული არ არის.
- ჩავუჯდები, სპასიბა.
- ამ კაცს, მთელი ცხოვრება, დამცირების და შეურაცხყოფის მეტი არაფერი უნახავს. მერომ ჩამოვალ, დაგეგმილი მაქვს ერთი რაღაც. მოკლედ, მინდა, რომ ერთგვარი შეხვედრები მოეწყოს შენი თაობის ჯგუფებთან და ერთი შეხვედრა ბესიკს უნდა მივუძღვნა. ანუ ეს იქნება დახურული შეხვედრები, განსხვავებით იმ ვითომგახსნილობისგან და ვითომდემოკრატიულობისგან, რომელიც მოდაშია.
- ძალიან მაგარი იქნება.

- ერთ ჩემს საღამოსაც ჩავატარებ ან სულაც - პერიოდულად. ოღონდ მხოლოდ მე შევარჩევ ჩემს პუბლიკას, რომელსაც წავუკითხავ რაღაცებს. ანუ იქრომ ჩემთვის არასასურველი ადამიანი გამომეცხადოს, კარებს მივუხურავ ცხვირწინ. ერთი შეხვედრა იქნება ბესიკ ადეიშვილთან. ბესიკი ახლა 75 წლის არის. ძალიან არის მოტეხილი ბევრი უბედურების გამო, რაც გამოიარა.

- დარა ადგილას? თუ ჯერ არ იცი?

- არა აქვს მნიშვნელობა. თუნდაც სადმე მეწალეების სარდაფში ან პარკში სადმე. მთავარია, ხელი არავინ შეგვიშალოს.

- მშვენიერია.

- მე მესმის, რომ რაღაც კატაკომბური სიტუაცია შეიქმნება, მაგრამ რასაც მე ვუყურებ, მაგ ყველაფრისგან უკვე თავის დაცვაა საჭირო, სხვა არაფერი. ხომ გესმის, რაღაც ისეთი ნიშნები და მეტაფორები უნდა გაჩნდეს, რომელიც ყველას აგრძნობინებს, რომ პოეზია მასხრად არ უნდა აიგდონ.

- არა, რატომ, "მხოლოდ მოსაწვევებით" იტყვი და მორჩა...

- რაც ახლა ხდება, ესაა პოეზიის შეურაცხყო-

ფა... არა, ეგეც არაა საჭირო. საერთოდ არ გა-
მოცხადდება, რა საჭიროა.

- ჰო, თუნდაც.

- ჰოეზის კარი მართლაც ღიაა, მაგრამ ეს არ
ნიშნავს, რომ ამ კარს არავინ იცავს. იქამდე
მივიდა საქმე, რომ შედიან, ჯვამენ და გამო-
დიან. ჩემი საყვარელი მოჭადრაკეა ფიშერი.
იცი, რატომ მიყვარს განსაკუთრებით? იმიტ-
ომ, რომ მან დიდი ხნის წინ საზოგადოებას
უთხრა, მე თქვენ გიჩვენებთ, კრივი უფრო
მნიშვნელოვანია თუ ჭადრაკიო. და გაიტანა
თავისი, ჭადრაკი დამცირებული მდგომარეო-
ბიდან ამოიყვანა. რაღაც ასეთი უნდა მოხდეს
პოეზიაშიც. რაღაც შენთვის სიცოცხლეს უდ-
რის, არავის ამით თავს არ აბეზრებ, არავის არ
ერჩიდა ამის გამო ისეთ როლს გჩუქნიან, რომე-
ლიც მუდმივ დამცირებას გპირდება. და ამით
კმაყოფილები არიან. აი, ამ კმაყოფილებასთან
თანამშრომლობა უნდა შეწყდეს.

- ჰო, რა, უბრალოდ, მაგ როლს ალარ ითამაშებ,
არც თამაშობდი, მაგრამ ის ილუზიური რეჟისო-
რი და მაყურებელიც გაქრება.

- ხო, ეგრეა. თან ვერც ვერაფერში მოგედავე-
ბიან. ვისი რა საქმეა!

- აბარა.
- ესენი როგორ არიან, იცი? უნდათ შეურაცხყ-ოფაც მოგაყენონ და ინსპირირებულებიც იყონ. წარმოიდგინე, მორალური დეგრადირების რა დონეა! ასე ექცეოდნენ ყველას. სხვათაშორის, ბესიკსაც! ამ რამდენიმე თვის წინ გავიგე, თურ-მე გიუჟს ჰეგვანან ბესიკის თაობის "დიდი" პო-ეტები: ეს როგორ მოხდა, რომ ჩვენი ნაწერები არავის აინტერესებს, ბესიკის ნაწერების მიმა-რთ ინტერესი კი ასეთი დიდია, დათო ბარბა-ქაძემ მისი წიგნი გამოსცაო. ხომ ხვდები, ეს ძალიან მაგარირამეა: მთელი ცხოვრება ბესიკს ძარცვავდნენ, პარალელურად კი მალავდნენ, და უცებ... მოკლედ, საინტერესოა ეს ყვე-ლაფერი.
- დათო, რა არის წიგნში შესული? როგორი გამ-ოვიდა შენი წიგნი?
- ჯერ არ ვიცი, ერთ კვირაში გამოდის. გარეკა-ნის მხატვრობა არ მომწონს, მაგრამ ბოლოს ხელი ჩავიქნიე.
- ვინ გააკეთა დიზაინი?
- ძალიან მნიშვნელოვანი, მსოფლიო ავტორი-ტეტის მხატვარიაო და უფლება მოგვცაო შენი წიგნისთვის მისი ნახატის გამოყენების, შენ კი

რას ამბობო და ასეთები. ვუთხარი, შეიძლება ასეც არის, მაგრამ ჩემს ტექსტებთან კავშირი არა აქვს მეთქი.

- ვისი ნახატია?

- მე მინდოდა ჰოპერის რომელიმე ნახატიდან ფრაგმენტი. გამომცემელი გაგიუდა, ჰოპერზე უფლება რომ მივიღო, ათასები დამიჯდებაო. ეს კიდევ ისეთი მხატვარიაო, მარტო მაგის გვარირომ ზის იქ, უკვე ძალიან მაგარირამეაო. მოკლედ, სიგიურა ეს ყველაფერი! გასაგები იყო ყველაფერი და ჩავიქწიე ხელი.

- რა გვარია მხატვარი?

- არ ვიცი. მართლა არ მახსოვს. მოიცა, გეტყვი. უნდა მოვძებნო. Franz Schwarzinger. ბოლოს, სანამ ხელს ჩავიქწევდი, ვთხოვე, მაინცდამა-ინც ამ მხატვრის ნამუშევარი თუ უნდა იყოს, იქნებ ეს გაუშვათ მეთქი (ინტერნეტში მოვ-ძებნე): <http://www.pixelwings.com/artsphere/fs6.html> ესეც არ გამოვიდა და რაღაც უაზრო ნახატი დატოვეს.

- ჰო, ეხლა ვათვალიერებდი მეც ნეტში მაგის ნახატებს...

- ისეთი სახელი აქვს, გამოუცდელი ადამიანი დაიბნევა კიდეც...

- კარგი, წავედი, დროებით დათო.
- კაი, დროებით.

01.06.2009

თბილისი-თბილისი. 10:13 – 10:59

- გამარჯობა, დათო! გილოცავ ნინოობას! როგორ ხარ? მომენატრე.
- ასევე, გილოცავ! არ კი ვიცოდი. შენ რასა იქმ?
- ჰო, ჩემმა დამ მითხრა მეც, ნინო ჰქვია... რავი, ახლა მოვედი სახლში.
- საიდან, შემოქმედებითი თვითმივლინებიდან?
- ჰო. მეგობრის კონცერტი იყო და მერე ღამე ერთად ვიყავით. გამოვიდა ავსტრიული?
- კი, ხომ გითხარი ადრე. როცა დრო გამონახო, მოდი და წაიღე. 30-იანი წლების გერმანიაში აღმოჩნდები (+ვენა).
- აუცილებლად, მეც უნდა გათხოვო ერთი წიგნი, ჯონ ირვინგი, სახალისო რომანია, ვენაზეა კარგი ფრაგმენტები და მოგეწონება მგონი. სახალისო სტატიაა:

<http://golden eternity.blogspot.com/2009/05/vs.html>

- ჯონ ირვინგი რომელი, ის, ცნობილი მწერალი?
- ჰო, ნაციონალური პრემიებითა და ოსკარებით.
- კი, ერთ დროს... ეჰ... ვერ ვიტყვი, რა დრო იყო მეთქი... დილიდან მოხუცი მეცნიერების პარადია ფონდში. მეც ასეთი უნდა გავხდე ოდესმე და ეს ძალას მართმევს. და მიბიძგებს კიდეც იქითკენ, რომ ვეძებო გასაქცევი გზები.
- ჰაჲა, შენ არ გახდები ეგეთი, დარწმუნებული ვარ, მაგარი მოხუცი იქნები, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს შვილებს მოგიყვან და გაგაცნობ.
- დაიმახსოვრე, ერთი დიდი საფრთხე ყველას გვემუქრება: სიმსივნე!!!! რამდენიმე ისეთი იდეა მაქვს, რომ მათი განხორციელებისთვის მიღირს დიდხანს ცხოვრება. ამიტომ იქნება დასანანი, სიმსივნემ ან მიწისძვრამ რომ შემიშალოს ხელი. ხომ ხვდები, ხანდახან ფიქრობ ადამიანი ასეთ რამეებზე... ამასობაში ჩავხედე ბლოგს. ხომ იცი, გულით გეტყვი: უკვე აუტანლად მოსაწყენია. და მიზეზიც პირდაპირ გაჰყვირის, აქა ვარო: თვითირონიის ნატამალი არ ჩანს ამ ყველაფერში. არ დამეთანხმები, მაგრამ მაინც გეტყვი: იმდენად სერიოზულია ეს ყველაფერი, რომ უკვე მოსაწყენია. ამ სერიოზულ-

ობის უკან არაფერი არ დგას.

- არა, უპრალოდ ორივე შორენა ძალიან სასაცი-ლოა და კომიქსი რომ წარმოვიდგინე, ბევრი ვიხალისე. არაფერი სერიოზული.
- თვითირონია (ნამდვილი, არაესთეტიზებული) გააცოცხლებდა მაგ ყველაფერს, იმასაც, რას-აც ადრე მიგზავნიდი ხოლმე.
- ადრე ბევრ ისეთ სისულელეს გიგზავნიდი ხოლმე, ახლა მრცხვენია.
- მოიცა, ეგ არაფერ შუაშია. ეს ნიშა დღეს ცარიელია საქართველოში. დაუკვირდი, ჩვენი პოსტმოდერნისტები ხომ სინამდვილეში დენდიზმის სენით არიან ავად, მეტიც არაფერი.
- ჰო, მაგრამ მე ვეღარ ვწერ. არც ვიცი, თითქოს ყველაფრის მიმართ ფრიგიდული გავხდი, რომანსაც ვერ ვაგრძელებ. შეიძლება გარემოს შეცვლა მჭირდება.
- არის თითქმის შეუმჩნეველი ნიშნები, რომ-ლებიც ზუსტად გიჩვენებს, რომ ესა და ეს კაცი ესა და ეს არის. დღევანდელი ქართული ხელოვნება დაახლოებით მე-19 საუკუნის მიწურულს მიუახლოვდა უკვე. ეს არ არის ცუდი შედეგი, მაგრამ მეტის გაკეთებაც შეიძლება... ხო, შენ რაც შეგეხება, როგორც ჩანს, ეგ სიმართლეა,

გარემოს გამოცვლას ვგულისხმობ.

- დათო, რაღაც წიგნი გამოდის, "პოსტმოდერნი და საქართველო". რაღაც ასე ჰქვია თუ მგონი ქარუმიძის ესსეს ჰქვია ასე, რამდენიმე ადამიანის ესსეები იქნება თავმოყრილი. გამიკვირდა, შენირომ არ არის, ამ თემაზე ყველაზე მაგარი რაც წამიკითხავს, შენია.

- საერთოდ, თბილისი ჭაობია და ჭაობში კი, ხომ იცი, ყველა იმით არის დაკავებული, რომ არ ჩაიძიროს თავისებურად, ამიტომ ერთმანეთისთვის ვერავინ იცლის და ვერც გაამტყუნებ. არ ვიცი, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს... ალბათ, სტუდენტური კონფერენციის მასალების კრებულია.

- ჰო, სხვა ავტორების გვარები არ მახსოვს. ახლა მივიღე წერილი ერთი ჩემი ძველი მეგობრისგან, სან-ფრანცისკოშია, მწერს, სად ხარო? პირველი, რაც მომინდა მეპასუხა: ჯოჯოხეთში-მეთქი. ნამდვილად თუ არ წავედი აქედან, 100% დეპრესია გარანტირებული მაქვს. ახლა რაღაც მოხალისეობის პროგრამაა ისლანდიაში, იმედია გამომივა.

- ნუ, ესე იგი, ყველაფერი წინა გაქვს დეპრესის თვალსაზრისით. დეპრესია მაშინ ნახე, იქიდ-

ან თუ დაბრუნდები.

- იმედია გამოვცდი მაგ დეპრესიას...
- ალექს, შემოსევაა და თავი უნდა დავიცვა. აბა, დროებით.
- დროებით, წარმატებები.
- ასევე, ალექს.

20.06.2009

თბილისი-თბილისი. 19:23 – 20:02

- საღამო მშვიდობისა!
- ალექსს გაუმარჯოს!
- დათო, რუსოზე ლექსი, სამუზიკომო ჩანაწერი, გამომიგზავნე რა, თუ გაქვს.
- ალექს, მერიდება უარი, მაგრამ ჯერ არ მინდა მაგ ლექსის "ამუშავება", მითუმეტეს, რომ ეგ მხოლოდ ერთი პარაგრაფია. არ გეწყინოს.
- ოკ, მესმის. იმ დღეს ერთი ამბავი რომ ატყდა, გაიგე? შენ რომ თქვი - ტყნავდაო, ის ტიპშა, შენს გვერდით რომ იჯდა, გარეთ გამოსულა და,
- ერთი ამბავი დამანიეროს.
- გუშინ სულ ვერ გავიხსენი, ისეთი მრავალგვაროვანი საზოგადოება იყო. არადა, ყველა მა-

თგანის მადლიერი ვიყავი. მოიცა, რატომ? ვის რა ამბავი დააწიეს?

- იმ ქალს, პაატა შამუგიას ლექტორი ყოფილა, მაგარი ტუპიაჩა, და გველაპარაკა ჯერ მოწვევაზეო, მითხრეს რომ შენი მიმართულების ადამიანი ვის იწვევო, და იმ დღეს, - ტყნავდაო, რომ თქვი, მაგის გამოც მეჩხუბნენო. უნივერსიტეტი მართ. მშობ. კავშირის კანტორაზე უარესია.

- აუ, ეგ როგორდა გამეთვალისწინებინა. არადა, ვითომ ვცდილობდი... ქება-დიდებასაც სამუზიუმო ექსპონატივით ვიტანდი (ნუ, გამძლეობაში ვვარჯიშობდი). კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხალხმრავალი შეკრებები ჩემი სტიქია არ არის.

- არა, თან მაგარი ბუნებრივად თქვი. კიდევ კარგი, ჩვენთან შეხვედრაზე არ იყვნენ.

- მოიცა, ახლა შეიძლება რექტორს შეურაცხყოფა მიაყენონ ჩემს გამო? პაატაც ასეთ მდგომარეობაში ჩავაგდე. არადა, ბილწიტყვაობა და ასეთები არ მჩვევია. რაღა ეს ჩაიხვიეს. ისე, კრეტინიზმიც ასეთი უნდა.

- არა, არაფერი მსგავსი, სასაცილოა უბრალოდ. დათო, რაღაც ვეში გამოგიგზავნე, აშკარ-

ად შენი გავლენით არის დაწერილი, უბრალოდ მედიტაციური ტექსტია.

- შინაარსი სულ არ გაიაზრა იმ ქალმა? ჩემი სი-ტყვით რაც აღვწერე, იმაზე არც გაამახვილა ესე იგი ყურადღება... კაი, ვნახავ მოგვიანებით.

- ის სამუზეუმო მედიტაციები ძალიან მაგარი იყო, კრებულის სახით არის თუ ცალკეული ტექსტებია?

- არა, ახალი წიგნის ნაწილია, ერთი ლექსია პარაგრაფებად. გადავავლე თვალი. შენ რა გითხარი! თითქოს უნდა გამხარებოდა, მაგრამ არ გირჩევ! ძალიან ბევრი სიტყვაა. არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, მაგრამ ძალიან ბევრი სიტყვაა. ეს ის შემთხვევაა, როცა რაღაც ხნით ლექსი კი არა, ლექსის წერა უნდა გადადო.

- ლექსებს საერთოდ აღარ ვწერ, რაღაც ჩანაწერებია უბრალოდ, რომლებიც, ალბათ, ენობრივად განვითარებაში მეხმარება.

- მაგრამ პოეზიაა. ენობრივი განვითარების მიმართულებით:

"მეტროს ბოლო მატარებლით
ვბრუნდები მე – ხე.

ჩემს ჩრდილქვეშ თავი მოუყრიათ
დალლილი სახის ადამიანებს.

ვდგები და ვყვირი:

"ფეხები ცეკვის ფრთებია"

ყველა გაკვირვებული მიყურებს,

არავის მოუსმენია ეს ფრაზა ხისგან.

ექსკალატორით ავდივარ ღამეში".

ვიცი, რომ ვაჭარბებ, მაგრამ ბოლო დროს თუ პოეტური სიტუაცია აღარ იგრძნობა (იქნებ, ეს ბედნიერი პაუზაა? არ ვიცი), ამაში ძველქართული სასულიერო პოეზიის ნაკლებობას ვხედავ. იმ დღეს, ხინკალი რომ ვჭამეთ და წავედნამოვედით, მინდოდა მომენტა, რომ ჩემს თავს ვიჭერ შენი მეგობრებისა და პირადად შენს მიმართ უწყვეტ თანადგომაში, ისე, როგორც მე ეს მესმის. ოღონდ სწორედ როგორც ეს მე მესმის. დამოუკიდებლად ჩვენი კომუნიკაციისა. თუმცა, ვიცი, ჩვენი კონტექსტი ძალიან სასტიკია. შენ ამას ვერც კი წარმოიდგენ, თუ რამდენად სასტიკია. მე რომ ამ კონტექსტს არ გავრიდებოდი, არ ვიცი, რა იქნებოდა... ალექს, ჯიგარო, ბავშვებს რაღაცას შევპირდი და უნდა მივხედო, შემახსენეს.

03.07.2009

თბილისი-თბილისი. 12:54 – 13:55

- ალექს, თუ არ გადიხარ, ახლავე დაგელაპარ-აკები, და მაქვს კიდეც სალაპარაკო.
- არა დათო, ჯერ არ გავდივარ. გისმენ.
- ძალიან დამიგვიანდა პასუხიშენს ბოლო წერ-ილზე, მაგრამ ისეთი საქმეები მქონდა მო-საწესრიგებელი, რომ ვერ გიპასუხე. რაც შეეხ-ება შენს პოემას: ჩემი აზრით (და ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია), იდეა, რომლის და-მუშავებაც შენ მოინდომე, არ არის, ასე ვთქ-ვათ, წონიანი. როგორც ჩანს, ამაში შეგეპარა ეჭვი და ამიტომ დამეკითხე, გავაგრძელო თუ არაო. შეიძლება, სხვა მიზეზიც იყო, არ ვიცი. მე ყველაზე საშიში ნებისმიერი ახალგაზრდა ავტორისთვის პოსტმოდერნული კომბინა-ტორიკა მგონია, სადაც "იდეების" გენერირება მარტივია და ავტორს არ ზრდის. ასეა ამ შემთხ-ვევაშიც. მართალია, ჩემთვის ნაკლებად აქტუ-ალურია (მგონი, თანამედროვე ესთეტიკისთ-ვისაც) ის იდეა, რომლის ილუსტრირებასაც ცდილობ, მაგრამ ეს არაა მთავარი. მე სხვა კუთ-ხით დავინახე ეს ყველაფერი და ჩემთვის გასა-

გები აღმოჩნდა შენი პრობლემა. აი, როგორ: მო-
ნასტერში რომ ვცხოვრობდი, ერთი ახალგაზრ-
და იყო იქ, ცოლის მოყვანა უნდოდა და მონას-
ტრის წინამძღვარს ჰკითხა, როგორ მოვიქცეო.
წინამძღვარმა კი უპასუხა, - მე ჩემს ცოლს გა-
ვეყარე და ბერად აღვიკვეცე, მე ეს გამოცდი-
ლება მაქვს, ამიტომ მხოლოდ ეს შემიძლია გას-
წავლო, დაოჯახების არაფერი გამეგებაო. წინა-
მძღვრის ეს პასუხი ჩემთვის ისეთი გადამწყვე-
ტი გამოცდილება იყო, რომ მას მერე, თუ რამეს
მეკითხებიან, მხოლოდ იმას ვუზიარებ, რაც
ჩემი გამოცდილებიდან მოდის. ამ შემთხვევა-
ში ჩემი გამოცდილება ასეთია: მე არასდროს
არავისთვის არ მიჩვენებია დაწყებული ნაწარ-
მოები და არ მიკითხავს, გავაგრძელო თუ არა
მეთქი. უფრო მეტიც, ძალიან იშვიათად მომხ-
დარა, რომ წიგნის დამთავრებამდე ცალკეული
ლექსი მეჩვენებინოს ვინმესთვის, რადგან ვი-
დრე წიგნზე მუშაობას არ დავასრულებდი, მის
შემადგენელ ლექსზე მუშაობაც არ მიმაჩნდა
დასრულებულად. მეორე მხრივ, მე იდეაზე
უფრო დიდ მნიშვნელობას იდეის დამუშავებას
ვანიჭებ. იდეებს მიაქვს სამყარო. პოეზია კი
ფორმის სამყაროა, ან, გნებავს, ფორმაში გან-

ლვრილი იდეის ან, გნებავს, ფორმაში შაქარივ-ით გახსნილი იდეის...

- გადამეტვირთა კომპიუტერი. ჩემთვის ის ტე-ქსტები, რომლებზეც მუშაობას ვიწყებ, ორად იყოფა: ერთია, რომელსაც დასასრულამდე არავის ვაჩვენებ (და, ალბათ, ეს უფრო მნიშ-ვნელოვანია ჩემთვის) და - მეორე, რომლისთ-ვისაც ღია პროცესია, ანუ იდეა მომწონს, ან რა-იმე გარკვეული მიზნისთვის ვაკეთებ, შესაბამ-ისად ვფიქრობ, რომ პროცესში სხვების აზრიც უფრო დამეხმარება... ამ პოემაზე იმიტომ გკი-თხე აზრი, რომ თავიდან ეს იდეა გამიჩნდა მხ-ოლოდ იმიტომ, რომ, უხეშად რომ ვთქვათ, დიშ-ოვად, ფსევდო-ქრისტიანები გამებრაზებინა. მერე მივხვდი, რომ შეიძლებოდა ამ თემაზე მუშაობა და უფრო ღრმად წასვლა... და მაინ-ტერესებდა, რამდენად სწორი გზით მივდიო-დი. თან შენ ყოველთვის სწორ ვექტორს მაძ-ლევ დი, ალბათ, ერთადერთი, ვის აზრსაც ვი-ზიარებ ჩემს ტექსტებთან დაკავშირებით, შენ ხარ. ჰოდა, ამ ღია წერის პროცესით ტექსტებს, გარკვეულნილად, დამხმარე, სასწავლო ტექს-ტებად განვიხილავ... (შეიძლება ისიც არის, რომ საკუთარ თავში არ ვარ დარწმუნებული, და მი-

ნდა თავიდანვე გავიგო, რას ფიქრობენ, რომ ტყუილ-უბრალოდ არ ვიწვალო. ან, პირიქით, ვიღაცას თავი მოვაწონო, ნახე რა მაგარ რაღაცას ვწერ-მეთქი, თუ დარწმუნებული არ ვარ, რომ დავამთავრებ, ან მაღალ დონეზე შევძლებ შესრულებას. აი, რომანს, სანამ არ დავამთავრებ, არავის ვაჩვენებ.

- წახვედი, დათო?

- არა, აქა ვარ. რაღაცას მეკითხებოდნენ. მეს-მის შენი. არ მესმის მხოლოდ ეს სურვილი, რომ ვიღაცები გააბრაზოს პოეტმა და ასეთი რამე-ები. არ მესმის იმ აზრით, რომ ეს ჩემთვის უც-ხოა, თორემ, ცხადია, ბევრი ავტორი მუშაობს ასე და წარმატებითაც.

- და, საერთოდაც, ეს იდეა იქიდან წამოვიდა, რომ მომინდა ტრანსსექსუალი მეგობარი გო-გო, ძალიან საინტერესო იქნება. მერე ვიფიქრე, რომ ქართულ ლიტერატურაში არ არსებობდა ტრანსსექსუალი პერსონაჟი... და აქედან წამ-ოვიდა განდეგილის იდეაც. ვიღაცის გაბრაზე-ბა, დეკონსტრუქციაც მეორადი მიზეზი იყო...

- მითუმეტეს, რომ ეს უკვე იმდენად კონიუნქ-ტურული თემებია, რომ არც უნდა გაეკაროს ალბათ ადამიანი. შენ არ გეხება, მაგრამ თუ ასე

გააგრძელებ, შეიძლება შეგეხოს რაღაც დროის
მერე. ვგულისხმობ ეშმაკურ ნონკონფორ-
მიზმს. კონკრეტულად იმას, როცა ავტორი
გრძნობს, ვინ აიგდეს უკვე საზოგადოებაში და
ცდილობს, სხვებს აჯობოს აგდებულის აგდე-
ბაში. მე ვფიქრობ, ქრისტიანობა (განსაკუთრე-
ბით მართლმადიდებლობა) დღეს ასეთ მდგო-
მარეობაშია. ის, უბრალოდ, უპატრონოა დიდი
ანგარიშით. განსხვავებით სხვა რელიგიების
არანაკლებ პროფანული ან მაფიოზური ვერ-
სიებისგან. გარდა ამისა, ტრანსსექსუალიზმის
თემის დამუშავება ფილოსოფიაში ისეთი ინტე-
ნსიონით მიმდინარეობდა, რომ მასობრივ დის-
კუსიებამდე ის კიდევ დიდხანს ვერ ჩამოქვე-
ითდება. ისე, მე ახლაც ასე ვთვლი, რომ ასეთი
ტიპის "ეპატაჟები", მაინც ავტორის სიზარმაც-
ესა ან ნიჭის ნაკლებობაზე მიუთითებს, მაგრამ
ხანდახან უბრალოდ სახალისოა.

- დათო, ბექა მინდიაშვილი გავიცანით.
- მაგრამ ძვირფასი დრო რომ იკარგება?!
- ჰო, ძვირფასი დრო იკარგება.
- ახლავე, მოიცა... თანამშრომელი მელაპარაკე-
ბოდა... მე ჩემი ძალიან უბრალო, მაგრამ ზუს-
ტისაზომები მაქვს, რომლებიც კარგად მიჩვენ-

ებს ავტორების არისტოკრატული საწყისების
სიჭარბეს ან ნაკლულობას, ჩემი ჩათვლით, და
ეს ჩემთვის არსებითია... ალექს, უნდა გავიდე,
სამსახურებრივი საქმე იყო გასაკეთებელი და
შემახსენეს. აბა, დროებით. შემეხმიანე.

- დროებით, აუცილებლად.

შოთა დილმელაშვილი - დათო ბარბაქაძე

ელექტრონული მიმოწერიდან

10.10.2008

შოთა, როგორ მოხდა არ ვიცი, მაგრამ მხოლოდ დღეს ვნახე შენი წერილი. გმადლობ მეგობრული და ძვირფასი გამოხმაურებისთვის. მე ვცადე შენს მიერ მითითებულ მისამართზე მოხვედრა*, მაგრამ არაფერი გამოდის (არცერთი ბრაუზერით). მე ახლა ვენაში ვარ და ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაინტერესებული პირები ვებგვერდს ვერ წაიკითხავენ, არა?

გიგზავნიამ საცოდაობას, მასალა 56-ე გვერდზე**. 37 წელი გეგონება, ისეთი დიალოგია. ეს არ არის მარტო გოიმობა, ეს რაღაც ძალიან ბნელი მოძრაობაა.

იყო დრო, როცა შემეძლო ანალიტიკური წერილები მეწერა ქართული მწერლობის პრობლემებზე. ახლა ამ ყველაფერმა აზრი დაკარგა.

მოსახდენი მომხდარია, სამწერლო კულტურის უკანასკნელი ნარჩენებიც გაქრა, დამსახურებული პენსიონრები გამარჯვებას ზეიმობენ. არც მიშველაძეს და არც წივნივაძეს მე პირადად არ ვიცნობდი. წივნივაძე ბრიყვი იყო და მის სიბრიყვეს იყენებდნენ, მიშველაძე კი მავნებლობის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია. მთელი 30 წელი მისი ერთპიროვნული უფლება იყო, უნივერსიტეტის უახლესი ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ვიზე და რაზე დაიწერებოდა დისერტაციები. ყოველწლიურად, სულ მცირე, ხუთი დისერტაციის დაცვა მაინც ხდებოდა. როცა ახალგაზრდა მეცნიერი დისერტაციაზე მუშაობას იწყებს, თუ მთლად დებილი არ არის, ორი-სამი წლის განმავლობაში ქართული საკვლევი თემის ამომწურავად გაცნობა არ გაუჭირდება (იქ კი, ძირითადად, დებილები იყრიდნენ თავს). წარმოიდგინე დაკარგული დისერტაციები და ბიოგრაფიული წიგნები (შესაბამისად, დაკარგული სპეციალისტები) ჭოლა ლომთათიძეზე, შოთა ჩანტლაძეზე, ნიკო სამადაშვილზე, ზდანევიჩებზე, ბევრ სხვა მწერალზე, საუკუნის დასაწყისის პრობლემებზე. ის ამას ძალიან გამიზნულად აკეთებდა. მთელ

მსოფლიოში ლიტერატურის ისტორიასაც და თანამედროვეობასაც უნივერსიტეტები აწეს-რიგებენ, ეს მათი პირდაპირი ვალდებულებაა და მწერალიც და კრიტოკოსიც ამ საქმიდან თავისუფალია.

მე შენში, ალექსაში, ზურაში და თქვენს მე-გობრებში სწორედ ეს მხარე მხიბლავს, სრული შემოქმედებითი გახსნილობა. ეს მართლაც არის რაღაც ახალი, რადგან აქამდე არც ერთ თაობას ეს არ ახასიათებდა. მე ვიცი, საფრთხე საიდანაც წამოვადა რაც შეიძლება მოხდეს, და ძალიან დიდი სურვილი მაქვს არ დაკარგოთ ის, რაც თქვენი ყველაზე ძლიერი შინაგანი პლატ-ფორმა იქნება დასავლეთთან კომუნიკაციაში.

კარლი და დომინიკი მხოლოდ დასაწყისია. უბრალოდ, გერმანული ფრთა ძალიან აკადემიურია (სიგიურებშიც კი) და ეს კარგი გამაწონას-წორებელი იქნება ჩვენს გარემოში. სტიპენ-დიას, რომელიც დავაარსეთ, უკვე ჩაუკეტეს გზა და ეს არ იყო ძნელი, რადგან როცა ეს სტი-პენდია ამუშავდა და ჩვენს "ინტელექტუალებ-ში" ინფორმაცია გავავრცელე, არავინ გამოხ-მაურებია, ყველა საბედისწეროდ დუმდა. ერ-თადერთი, რაც მოვასწარი, კარლის და დომი-

ნიკის წიგნებია. მათ წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა არ აპირებს. ამ წელს ორი წიგნი და დიალოგის ბევრი შესაძლებლობა დაიკარგა.

რას ამბობ, კარლის*** და დომინიკის**** მეორედ ჩამოსვლას უნდა ელოდოთ? რა მომზადება? მე უკვე იმაზე ვფიქრობ, გერმანიაში როდის გამართავთ პოეზიის სალამოს და შენ კარლის ჩამოსვლას უნდა ელოდო?! სხვათაშორის, კარლი აღფრთოვანებული მელაპარაკა თქვენზე.

დიდაქტიკაში არ ჩამომართვა: უნდა იყოთ ძალიან მობილურები. ევროპელ და ამერიკელ ხელოვანებთან ურთიერთობას თითქმის "გამარჯობის" გარეშე უნდა ამყარებდეთ. ჯერ ენის ცოდნა და მერე კომუნიკაცია კი არა, ენის შესწავლა კომუნიკაციის პარალელურად. თქვენ ეს გაკლიათ და მინდა სწორედ აქ ამოგიდგეთ მხარში. დანარჩენი ბიბლიოთეკებშიც მოიპოვება. მე გადავავლე თვალი შენს სტატიას (ყურადღებით წავიკითხავ კვირის ბოლოს) და ვგრძნობ, რომ ამ სტატიაშიც ცოცხალი კომუნიკაციის არარსებობა იგრძნობა. არ არსებობს

ევროპაში მწერალი (თუ მაინცდამაინც გამდი-დრებულ მწერლებს არ დავადებთ ხელს), რომელიც არ შეიძლება უბრალო მიწერ-ით გაიცნო და მასთან იმეგობრო. თქვენ ეს გამოცდილება არა გაქვთ, ამიტომ უნდა იცო-დეთ: ნებისმიერი, ვინც საქართველოში ამ საქმეს პირდაპირ თუ ირიბად რაღაც აუღებელ ციხე-სიმაგრედ წარმოგიდგენთ და მაინცდ-ამაინც თავის მედიუმობას გთავაზობთ, აუცი-ლებლად რაღაცას მაიმუნობს ან ეშმაკობს. აი, ნახავთ, როცა თქვენ საკომუნიკაციო არხებს გახსნით, პირველ რიგში ეს ხალხი ჩამოგეკიდე-ბათ. თუ ვინმეს თქვენთვის კარგი უნდა, მოგცეთ სწორი საკომუნიკაციო მისამართები და თვითონ განზე გადგეს, მაინცდამაინც თავის სახეიროდ ნუ გამოიყენებს ამ ყველა-ფერს. თქვენი გაძლიერებისთვის ამას სასიც-ოცხლო მნიშვნელობა აქვს. ევროპელი ხელოვ-ანების დიდი უმრავლესობა უბრალო და გახს-ნილი ხალხია. თქვენ უნდა შეგეძლოთ საქართ-ველოში მათი დაპატიჟებაც და მათთან ჩასვ-ლაც, ეს არ არის ძალიან ძნელი.

ახლა ისეთ ვითარებაში ვარ, რომ ვერაფ-რისთვის ვერ ვიცლი. ჩემი წიგნი გამოდის და

მთლიანად ამ საქმეზე ვარ გადართული, აქ ხომ წიგნის გამოცემა მარტო გამოცემას არ გულისხმობს, ამიტომ ათასი სხვა საქმეა.

აქვე ერთი მისამართი: [...]

[...] შენი თაობის ფოტოხელოვანია, ეს მისი ვებგვერდია, თავის მეგობართან ერთად აკეთებს. ჩემი სახელით დაუკავშირდი ინგლისურად, თუ დაგაინტერესებს. ადრე წერდა კიდეც, ახლა არ ვიცი. ხომ შეიძლება დაპატიჟო თავის მეგობართან ერთად, სადმე ბინაში აცხოვრო და რამე დაგეგმოთ ერთობლივად, გალერეა მოინახება (თუნდაც ქარხანაში სადმე).

აბა, დროებით.

დათო

10.10.2008

გამარჯობა დათო. ჰო, ქართული ბრაუზერ-ებითად ძნელად შედის მაგ საიტზე. არაფრით გამორჩეული საიტი არაა. ათასი პროფანი ათას უაზრო ტექსტს ყრის და პოეზიას არქმევს. ურთიერთობებიც სტანდარტულია. ერთმანეთს პირში უცინიან ზურგსუკან გინების პარალა-

ლურად. სამაგიეროდ ფორუმი აქვს ასეთუ ისე ნორმალური. ნებისმიერი მსურველი ნებისმიერ თემას ხსნის. ასე არის გახსნილი 50-მდე თემა პოეზიის განყოფილებაში, (ქართველი და უცხოელი პოეტების, ეპოქას მნიშვნელობა არ ენიჭება, ვისაც რა უნდა იმას ხსნის.) მათ შორისაა შენიც, ჩანტლაძისაც, სამადაშვილისაც, ბაძალუასი, გუგუშვილის...

მოდი, მაშინ დავაკოპირებ შენს გვერდს და ბმულით გამოგიგზავნი, რომ იცოდე მაინც, რა სისულელებით აპელირებენ "კასტრატები".

კი, ზუსტად ეგ შთაბეჭდილება დამრჩა (გერმანული ფრთის აკადემიურობას ვგულისხმობ). დომინიკთან ხშირად ვსვამთ, ხშირად ვხვდებით, ათას თემაზე ვსაუბრობთ. ერთი რამ გამიკვირდა: მიუხედავად იმისა, რომ გიუდება ჰანტერ ტომპსონზე, ბეგბედერზე და სხვა თანამედროვე არც თუ ისე აკადემიურ ხალხზე, მისი ლექსიკური მარაგი, რომლითაც ნანარმოებს აგებს, მართლაც რომ აკადემიურია. ნოველას ვგულისხმობ, რომელსაც წერს. გუშინ წაიკითხა დიუმას ცენტრში ნაწყვეტები. ეს შთაბეჭდილება უხარისხო თარგმანს გადავაბრალე (თარგმანი სინქრონული იყო), მაგრამ შენმა სიტყვებ-

მა ეჭვი გამიქარვეს. ახლა ველოდები, მთლიანად როდის ითარგმნება. წაკითხულიდან რამდენიმე პასაჟი ძალიან მომენტია.

მომზადებაში საკუთარ ბაზაზე ორიენტირებას არ ვგულისხმობ. მომზადება იმ მხრივ, რომ უეცრად, როცა მოვიძიეთ, ძალიან ცოტა ხარისხიანი მასალა ვიპოვეთ საღამოების და პერფორმანსების, რაც კარლს და დომინიკს ყველაზე მეტად აინტერესებდათ. ეს კარგი გაკვეთილია. მასალა უნდა იდოს ყოველი შემთხვევისთვის. რა იცი, რაში დაგჭირდება.

კი, აბსოლუტურად გეთანხმები. უნდა ვანგრიოთ კედლები და ვაშენოთ ხიდები. ძირითად პრობლემად აქაური კულტურული გარემოსი და ზოგადად ისთებლიშმენთის ის მგონია, რომ საქართველომ დაკარგა მსოფლიოსთან სალპარაკო ენა. საჭიროა რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობა უცხოელ არტისტებთან და მიმდინარეობებთან. ამას გამოცდილებაც მოაქვს და ფილტრაციის უნარიც. ეს უკანასკნელი აუცილებელია, რადგან ჩვენს სინამდვილეში ხშირად იბადება ხოლმე შეგრძნება, რომ რაღაც ახალი, მეორე სამყარო აღმოაჩინე და თურმე კიჩს აკეთებ:). გმადლობ ლინკისთვის.

აუცილებლად ვნახავ და შევეხმიანები. თან ამ ბოლო დროს დავინტერესდი ფოტოხელოვნებით, მეუღლემ ჩამითრია.

აბა დროებით,

ბმულით ვუშვებ იმ ფორუმულ გვერდებს.

13.10.2008

შოთა, გადავხედე ფორუმის მასალებს. მგონი, სწორედ ამ ფორუმის შესახებ მეუბნებოდა ადრე ჩიხლაძე, მერე კი გიორგი კეკელიძემაც მიხსენა ერთხელ. მაშინ არ მიმიქცევია ყურადღება, ახლა კი ვხედავ, რომ ეს აუცილებელი მოძრაობაა. პირადად ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლობის მეტირა მეთქმის.

გულდასმით წავიკითხე შენი წერილი. გული მწყდება, რომ დრო არ მაქვს დაწვრილებით გაგიზიარო ჩემი ფიქრები ამ თემაზე და შენს წერილზე საერთოდ. ვიცი, რომ გამიგებ. როგორმე სხვა დროს. ერთბაშად იმდენი საქმეა, რომ ზოგჯერ უარს ვამბობ თუნდაც საღამოობით ცოტა ხნით სასეირნოდ გამოსვლაზე.

ძალიან ზოგადად კი მაინც გეტყვი, რომ ვისურვებდი, მსგავსი ხასიათის წერილები გარკვეული პერიოდულობით დაგენერა და გამოგექვეყნებინა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შენი და შენი თაობის თეორიული დაკვირვებების გაძლიერებისთვის სწორედ ჩამოყალიბებითი და არა ფრაგმენტული წერილობითი დისკურსის დონეზე. ამით წერითი აზროვნების კულტურაც დაიხვეწება და საინფორმაციო ველიც გამდიდრდება.

მე რომ დამენერა ამ თემაზე წერილი, ვიღაპარა კებდი არა კონცეპტუალურ ხელოვნებაზე, არამედ – კონცეპტუალიზმზე ხელოვნებაში, რაც კონტექსტს კიდევ უფრო გააფართოებდა. შენი დამოკიდებულება თემისადმი მხოლოდ ზედაპირულად კრიტიკულია და მსჯელობას ამთავრებიქ, სადაც სწორედ ყველაზე საინტერესო თემების ანალიზი უნდა დაწყებულიყო. შეიძლება ამის მიზეზი იყო ის, რომ ვერ შეძელი ხედვის სხვადასხვა კუთხის შეჯახების პროცესირება. 70-იან წლებში (ზუსტად ვერ ვიხსენებ, როდის) "ინოსტრანკაში" დაიბეჭდა ამერიკელი უურნალისტის, 80-იანი წლებიდან კი უკვე ცნობილი რომანისტის ტომ ვულფის

(სხვათაშორის, ხშირად მოიხსენიებენ ჰუნტერ ტომპსონის გვერდით, როგორც ახალი ჟურნალიზმის მეტრს) ძალიან მახვილებრული კრიტიკული წერილი გრინბერგზე. გასაგებია, რუსებმა რატომაც თარგმნეს ეს მასალა, მაგრამ წერილი მართლაც ძალიან საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ის საბჭოთა ავტორის კი არა, უნიჭიერესი ამერიკელი ავტორის დაწერილია. და დაწერილია არა დაკვეთით და არა რეტროგრადის ან ექსპერიმენტულ ხელოვნებაში ჩაუხედავი ადამიანის მიერ. ისე, როგორც არც ეს ჩემი მითითება მაინცდამაინც 70-იანი წლების "ინოსტრანკაზე" არის შემთხვევითი. ხედვის კუთხის გადანაცვლება ძალიან ხშირად გამაოგნებელ შედეგებს იძლევა, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება დროში ასეთ ხანგრძლივ პროცესს. პირადად ჩემთვის, მსგავს მოვლენებზე დაკვირვების დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია დაკვირვება მოვლენის შიგნით აფეთქებულ წინააღმდეგობებზე. თუნდაც კონცეპტუალურსა და სოციალურს შორის ყოველთვის ხელახლა წარმოშობილ წინააღმდეგობებზე ან, ვთქვათ, ექსპერიმენტული ტრადიციისა და მთლიანად ხელოვნების პრეზენტაციის ფორმებზე,

საერთოდ ხელოვნების შესახებ ცოდნის აკუ-
მულაციის და მისი გადაცემის ფორმებზე; ასე-
ვე - მილიონერ პოლოკზე, მილიონერ ბეკონზე,
მილიონერ დე მარიაზე და ა. შ. ეს ის საკითხე-
ბია, რომლებზეც აუცილებლად უნდა იმსჯელ-
ოს შენმა თაობამ, რათა მართლა არ გაუჩნდეს
ვინმეს ილუზია, რომ კონცეპტუალურ ხელოვ-
ნებაზე დაწერილ ათ ან ოცგვერდიან წერილში
საკმარისია ერთი ან ორი წინადადება რომან-
ტიკული ხელოვნების ესთეტიკის (შენთან რო-
მანტიციზმის) ბეჭებზე დასადებად. დიდი ხა-
ნია მაინტერესებს, ვინმეს თუ ეყოფა თუნდაც
პიროვნული გულწრფელობა და სიძლიერე, რომ
ისაუბროს იმაზე, თუ რას მოითხოვდნენ რე-
ალურად დადაისტები და როგორ აჯობა მათ კა-
პიტალიზმადა და საერთოდ კოლექტიური აქციე-
ბის ხელოვნებას როგორ აჯობა (უფრო რთულია
იმ საკითხის ანალიზი, თუ რატომ აჯობა). მარ-
თლა იმას მოითხოვდნენ დადაისტები, რომ ხე-
ლოვნება ბიზნესს შეკვროდა და ის კაპიტალ-
ისტური სიგიჟე მიგვეღო, რომელიც ხელოვანს
პირფერობის, ფარისევლობის და მაიმუნობის
მეტს არაფერს უტოვებს, უფრო მეტიც, გულწ-
რფელობის უფლებას ართმევს? ეს არის ცენტ-

რალური საკითხები, რომელიც ხელოვანთა პი-
როვნულ ბედთან მჭიდროდ არის გადახლართუ-
ლი. და არ იფიქრო, რომ ამ თემებზე თუნდაც
დადაისტები არ ფიქრობდნენ. თუნდაც ყვე-
ლაზე მზაკვრულ წიგნს დაგისახელებ: ივან გო-
ლის ცოლის კლარა გოლის მემუარების წიგნს
"მე არავის ვპატიობ" (მგონიასე ჰევია), რომელ-
იც კარგ მასალას იძლევა საერთოდ ნებისმიერ
დასაწყისზე თეორიული რეფლექსიისთვის...

თუ ხელოვანი ამბობს, რომ ის, რასაც ის აკე-
თებს, კონცეპტუალური ხელოვნებაა, ასეთი
ხელოვნება მართლაც არსებობს. თუ ის ამბობს,
რომ რასაც ის აკეთებს, ეს არის ქაქი, დიახაც
ეს არის ქაქი. გაცილებით მნიშვნელოვანია, თუ
რა ღირებულება აქვს მას, როგორც ასეთს. ეს
კი, ათიდან ცხრა შემთხვევაში, გვიან ირკვევა,
ძალიან გვიან...

შოთა, აქ უნდა შევწყვიტო წერა, ბოდიშს
გიხდი.

13.10.2008

რა თქმა უნდა მართალი ხარ. ეს ზედაპირუ-

ლი წერილია, უფრო მეტად ინფორმაციული, ვიდრე კვლევითი. ფაქტიურად, ჩემი აზრი მანდ არც ფიგურირებს. ფიგურირებს მხოლოდ ჩემი პოზიცია, რომელიც ადვილად შერყევადია სა-თანადო კონტრ-არგუმენტებით. და მიზანიც ეს იყო. ეს სტატია არავის ბეჭებზე დადებას მიზ-ნად არ ისახავდა. მიზანი გაცილებით პრაგმატ-ულია. საქმე იმაშია, რომ სიტყვა "კონცეპტუ-ალიზმი" წალმა-უკულმა მესამის ათასი ჯურის ახალგაზრდა მოპოეტო სუბიექტებისგან, ჩემი თაობიდან. ამ ხალხს მაგ წიაღში არ უმუშავია. როგორც შენ თქვი რომელიღაც წერილში, მხო-ლოდ ლექსიკონში ამოკითხული დეფინიციე-ბიდან ამოდიან და ეს თეორიული ბაგაუი საკმა-რისი ჰგონიათ, რომ ამ თემაზე დისპუტებში ჩა-ებან. ჩემი აზრით, ეს სიტყვა - "კონცეფცია" - ერთგვარ განტევების ვაცად იქცა. როცა გაა-კეთებენ ქაქს, გეტყვიან: "არ მოგწონს? ე. ი. შენ ვერ გაიგე კონცეფცია. ე. ი. ეს ჩემი პრობლემა კი არაა, ქაქი რომ გავაკეთე, ეს შენი პრობ-ლემაა, რომ ქაქში ქაქზე მეტს ვერაფერს ხე-დავ. აი, შენ რომ სათანადო ერუდიცია და ინტე-ლექტუალური უნარები გქონდა, აუცილე-ბლად დაინახავდი პროდუქტის გენიალურო-

ბას". მოკლედ, ქაქს ოქროს ფასად ყიდიან. მთავარია, ზედ "კონცეპტუალური" დააწერონ. და სნობების გუნდიც კვერს უკრავს. ესმით მაღალი ხელოვნება. მეც ავდექი და წარმოვაჩინე კონცეპტუალიზმი მხიარული მეცნიერების ეგიდით (სხვაგვარ საკითხავს ეს სეგმენტი არც მიეტანება და, პრინციპში, მეც ვერ დავიბრალებ საკითხის სათანადო ცოდნას მასში გარკვეული წიაღსვლებისთვის).

აი, ასე, ზედაპირულად, მთელი მისი შემაძრნუნებლობით. შემაძრნუნებლობით იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა დაინახეს, რამხელა მოცულობა აქვს ამ თემას. ეს აშინებთ. ეს ერთი. და მეორე, კონცეპტუალიზმი მათ პატივმოყვარეობას და "პოეტურ ეგოს" (რომლის განსაღიდებლადაც მოქმედებენ, რისთვისაც სჭირდებათ "პოეტობა") გაანადგურებს, რადგან უბრალოდ არ სცნობს მას. ანუ დავუპირისპირე მათი აღქმული ცნება "პოეტის" (ერთგვარი მედიატორი ოლიმპოს ღმერთებსა და უბრალო მოკვდავებს შორის) რომანტიკულ გაგებას. მე ვუთხარი: აირჩიე. და დარწმუნებული ვარ, ამ არჩევანს ისინი საკუთარი ეგოს სასარგებლოდ გააკეთებენ და აღარ მოედებიან "დაფარულ კონცეფ-

ციას". მორალური უფლება აღარ ექნებათ, გარკვეულ ნაწილს მაინც. ეს იყო ჩემს მიერ დანახული პრობლემა, თორემ კონცეპტუალური კრიზისი ნაკლებად მაღელვებს. ანუ წერილი იყო საშუალება და არა მიზანი. ამ მხრივ გარკვეული როლიც შეასრულა.

მოკლედ, ვიცუდლუტე. ბოროტად ვისარგებლე იმ "თანამდებობით", რომელიც ამ ხალხის თვალში გამარჩია.

დადაიზმს აჯობა კაპიტალიზმმა თუ დადაიზმი გადააკეთა კაპიტალიზმმა? (ანუ მისი პროგრესირების საფუძველი იყო. თუმცა, რაღაც მუტირება განაცდევინა ევოლუციის დროს). ამ "ძლევას" ძალიან გროტესკულად აჩვენებს ენდიუორპოლი. ეს, შეიძლება, არის კორპორატიული არტი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს როგორი? მაგას რომ თავი გავანებოთ, კაპიტალიზმს დამორჩილებული დადას გარეშე იქნებოდა ფლუქსუსი, რომელმაც ამხელა გავლენა მოახდინა მედია არტზე და გარკვეულწილად მოქმედების პირობებიც უკარნახა მას? კითხვის სხვანაირად ფორმულირებაც შეიძლება: ერთი კარნახობდა მეორეს სტანდარტებს თუ მეორე პირველს? ერთ საინტერესო სტატიას

წავაწყდი, ბმულით გამოვუშვებ. იქ, მართალია, საერთოდ არაა დადაზე ლაპარაკი, მაგრამ ლაპარაკია კაპიტალიზმის, ანუ მარკეტინგის და ხელოვნების (სხვა სოციალური გამოვლინებებისაც) ურთიერთქმედებაზე.

ერთი საინტერესო ფრაზა იყო. დაახლოებით ასე უღერდა: დღეს სიბრძნე უღერს არა წიგნებიდან და ბრძენთა ფრაზებიდან, არამედ - წითელპომადანასმული ტუჩებიდან. გლემის, გლამურის ეპოქაზეა საუბარი და აკადემიური პრეზენტირების კრიზისზე.

მე ძალიან ადეკვატურად მომეჩვენა და რამდენიმე იდეაც გამიჩნდა, რომელთაც ხორცს შევასხამ აუცილებლად, როცა სათანადო სახსრები მექნება.

კი, მაგაზე საუბრობდა ალბათ დათო (ჩიხლაძე). დარეგისტრირებულია და თვითონაც პოსტავს ხოლმე რაღაცებს საკუთარ გვერდზე.

მოძრაობის აუცილებლობაზე რა მოგახსენო. უფრო სწორად, რაიმე ლიტერატურულ დანიშნულებაზე. ერთმანეთის გვერდიგვერდშეიძლება იქ აღმოჩნდეს, დავუშვათ, ელიოტი და ვინმე მაყვალა მაყულარია. ან ეგეც არა,

რაიმე ზედმეტსახელი, მაგალითად "ტუფლა"-ს თემა (რომელმაც რაღაც ორი საშინელი ნოველა დაწერა და საიტზე განათავსა) და გვერდით დოსტოევსკის თემა.

სრული ქაოსია.

დროებით.

13.10.2008

მესმის, მესმის. უბრალოდ, მე იმ ცოცხალ კონტექსტს არ ვიცნობ, რომელზეც ბოლო წერილში მწერ. თუმცა, მაინც უნდა შევნიშნო, რომ არ მგონია, ისე მარტივად წყდებოდეს იდენტიფიკაციის პრობლემა, რომ საქონლის მარკირება საკმარისი იყოს საქონლისთვის სულის ჩასადგმელად. და არც იმას ვფიქრობ, რომ შენს მიერ დემითოლოგიზებული ვითომკონცეპტუალისტები ასეთი ბოროტები იყონ. ასეთი მიმიკრიის მოთხოვნილებას ყოველთვის სისუსტე ან გამოუცდელობა აჩენს. მოკლედ, ისინი ხალხის მტრები არ არიან:)). თუმცა, ვაღიარებ, რომ შეიძლება საქმე უფრო სერიოზულად არის და მევერ ვხვდები. მითუმეტეს, რომ უკვე დიდი

ხანია ველარ ვიცლი ახალ ქართულ კონტექსტში ჩასაღრმავებლად, ხოლო რაც ჩემი დაკვირვების ველში ხვდება, ან სრული ლიტერატურული პროფანიზმის ნიშნებს ატარებს ან – ფლიდობის (როცა ადამიანის მოქმედებას კონტექსტში სხვა მიზანი აქვს, წარმოაჩენს კი სულ სხვა მიზანს). "ეგო", რომელზეც შენ ლაპარაკობ, მართალაც აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა, მაგრამ ამაში ჩვენი კონტექსტი ორიგინალური ვერ იქნება, ეს საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცის პრობლემაა. დასავლეთშიც იგივე პრობლემებია, ოღონდ დასავლეთში ტრადიცია და გადაწყვეტის გზებია სხვა. აյ წარმოუდგენელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნიგნური გენიოსი მოგევლინოს და კონტექსტი შეცვალოს ან მასზე გავლენა მოახდინოს. ქართული პრობლემა გაუნათლებლობაა. სწორად გამიგე, არა არაინფორმირებულობა, არამედ – გაუნათლებლობა. დასავლეთში, საქართველოსგან განსხვავებით, დრო იმდენად ძვირფასია, რომ არც სხვის და არც საკუთარი თავის მოსატყუებლად დროს არავინ დახარჯავს. საქართველოში არაფერი ისე კარგად არ მუშაობს, როგორც ავანტიურა. ზოგი უკეთესი ავანტიურისტია, ზოგი უარესი.

უკეთესები ჯაბნიან უარესებს და მეტი აუდიტორია ჰყავთ. სულ ეს არის. თაგვების და ბაყაყების ომიდან თავდაღწევის საუკეთესო საშუალება კი განათლებაა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ განათლება არ ჰქონდათ თავის დროზე ქართველ "ჩოხიან დადაისტებს" და ფუტურისტებს და გაუნათლებლობის ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ჩემი ნაცნობების წრეში თვითონაც მხატვარი იყო, მხატვრობაც ესმოდა და განათლებულიც იყო, იყო კარლო კაჭარავა. მისი უპირატესობა ძალიან პროზაულად ასე შეიძლება გამოითქვას: მას თავის განვითარებაში ჩავარდნა არ ჰქონია, არ გამოუტოვებია კლასიკური ხელოვნება. ის ძალიან კარგად იცნობდა კლასიკურ ლიტერატურას, სტუდენტობის წლებშიც იგი თავის ცოდნას იღრმავებდა პირველ რიგში კლასიკური ლიტერატურის და ხელოვნების მიმართულებით. აი, ამიტომ მას კულტურა არასდროს მისცემდა უფლებას, რომ აგდებით მოპყრობოდა კლასიკურ ტრადიციას. როცა 90-იან წლებში დაპროგრამებული ქაოსით გასულელებულმა ბევრმა ახალგაზრდა ხელოვანმა შვებით ამოისუნთქა, თურმერა იოლი

ყოფილა ყველაფერით, კარლო სწორედ კლასიკურ ლიტერატურას და მხატვრობას ეწაფებოდა და მხოლოდ პარალელურად იღრმავებდა ცოდნას თანამედროვე ხელოვნებაში. ამ საკითხებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ჩვენში ეს თემაც მხოლოდ ადამიანების მიერ ერთმანეთის დასამცირებლად გამოიყენება. ვიღაც ვიღაცას რაღაცას დაბრალებს, მერე ვიღაც უპასუხებს, სიტუაცია კი არ იცვლება. გავადრო და ვისაც თავგამოდებულ ავანგარდისტად მოჰქონდა თავი, უცებ არა მხოლოდ სხვა კომპოტში მოგევლინება, არამედ უტიფარ სოფისტურ მტკიცებასაც დაიწყებს, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. ხომ გესმის, საქართველოა, აქ ყველა ერთმანეთს ხმარობს და იყენებს. ლამის ოცნებად მაქვს ქცეული, რომ შენმა თაობამ ამ სიბნელეს თავი დააღწიოს.

ჩემი აზრით, ყველა ისეთი ქაოსი, რომელსაც შენ აღნიშნავ, მოჩვენებითია. ეს არის, უბრალოდ, ცხოვრება, მეტიც, საერთო ფიზიკური საარსებო სივრცე, სადაც ელიოტი და მაყვალა მაყულარია მართლაც ერთად უნდა ცხოვრობდნენ. მაგრამ დგება მომენტი, როცა იღება სხვა სივრცის კარი, სადაც უნდა შევიდეს ელი-

ოტი და არ შეუშვებენ მაყულარიას, და ეს ხდება არა ვინმეს ბოროტი სურვილების გამო, არამედ იმიტომ, რომ იქ მაყულარიას ადგილი მართლა არ არის. მგონი, ხვდები ჩემს ორმაგ ინტენციას, ესთეტიკურსაც და მორალურსაც: ესთეტიკაში სამართლიანობა ისეთსავე გადამწყვეტროლს თამაშობს, როგორიც მას ალბათ მხოლოდ ღმერთის სამოქმედო გეგმებში აქვს. სამართლიანობის ამ ტრადიციიდან გამომდინარე, რაც ინდივიდუალიზაციის მომწესრიგებელი კულტურით იწყება, მსგავსი კულტურით უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს. ეს ტრადიცია კი დასავლეთში ჯერჯერობით არ გაწყვეტილა. ასე რომ, უზუსტეს სასწორზე წონიან ყველაფერს, სანამ მას კულტურის სივრცეში შეუშვებენ. აი, აქ დგება მორალის საკითხი: კი, მაგრამ შენი მიზანი ხომ იმპერსონალიზმი იყო და არა პერსონალიზმი, აქციური და არა პიროვნული, რევოლუციური და არა ტრადიციული? მაშინ რას მოითხოვ კულტურისგან: რომ შენც გაგიღოს კარი? კულტურას ხომ თავისი კანონები აქვს, კულტურა ყოველთვის, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, ინდივიდუალური და პერსონალურია. აჰ, გასაგებია, გასაგებია, ეს შენი

ფარული მიზანი იყო, საბოლოო მიზნად სწო-
რედ ეს გქონდა მონიშნული. უბრალოდ, არ გინ-
დოდა, რომ სხვებს ეს სცოდნოდათ. ახლა კი -
მთავარი: ხარისხი! ჩვენ პატივს ვცემთ შენს
სოციალურ შემართებას, თავდაუზოგავ ბრძო-
ლას, მაგრამ რა შუაშია აქ ლიტერატურული
ტრადიცია, რომელშიც არა აზრის გამოხატვა,
არამედ აზრის მხატვრული გამოხატვაა მთა-
ვარი?! ჩვენ მივესალმებით ყველა შენს ინიცი-
ატივას და აქციას და მას შესაბამისი სივრცის-
კენ მივუთითებთ, არ ხარ კმაყოფილი? კი, მაგ-
რამ შენ არ იყავი, ბურუუაზიულ მორალს რომ
ებრძოდი, ახლა რა მოხდა ისეთი, რომ მათ გვე-
რდით ეძებ ადგილს? გასაგებია, უბრალოდ ჩა-
ლიჩობდი... და ა. შ.

ხომ ხვდები, რისი თქმაც მინდა: უფრო დახ-
ვეწილი მაყულარიებიც არსებობენ. თანაც, ხომ
იცი, დროთა განმავლობაში სამოქმედო სტრატ-
ეგიები რთულდება, უფრო ჩახლართული ხდება.

ასე რომ, არ მიკვირს ეს "სრული ქაოსი". ასე-
თი შემთხვევებისთვის უმარტივესი შეკითხვა
არსებობს: ქაოსი სად? არ მინდა მტკიცება და
ასეთები დავიწყო, უბრალოდ, ჩემი პოზიცია
ასეთია: კულტურაში, როგორც მომწერიგე-

ბელ ორგანიზმში, აცდენები არ არსებობს. თუნ-დაც იმიტომ, რომ კულტურის ყველა პროდუქ-ტი უკვე აცდენაა, აცდენას კი აცდენა ვერ მო-აწესრიგებს. დანარჩენი ყველაფერი მოძრაო-ბა და პიროვნული ბედია. ყველას თავისი გამო-ცდილება აქვს და ამ გამოცდილებით მიდის ღმერთამდე თუ არ ვიცი სადაც მივა ბოლოს, რაც გინდა ის დაარქვი კაცმა.

კარგი, აბა, დროებით, შეთა. ძალიან მერი-დება შენი, რომ უდროობის გამო ვერ ვახერხ-ებ უფრო მეტი ყურადღება დავუთმო შენს გუ-ლწრფელობას და პირადად ჩემთვის ასე დასა-ფასებელ რეფლექსიებს.

მინდა გთხოვო ელიოტის ერთი წერილის მო-ნახვა პაუნდზე. წერილი დაწერილია 1946 წელს. ჰქვია "ეზრა პაუნდი". არსებობს ამ წერ-ილზე მოგვიანო პატარა მინაწერიც. მე გერმან-ულად მაქვს წაკითხული. ვიღაცას აუცილებ-ლად ექნება თბილისში ინგლისურად ან შეიძლე-ბა სადმე სხვაგან მოიძებნოს. შეიძლება რუსუ-ლადაც არსებობს. მინდა გთხოვო ამ წერილის წაკითხვა.

დათო

13.10.2008

კი ვნახავ, სირთულეს არ წარმოადგენს ინ-
გლისურენოვანი მასალის მოძიება ინტერნეტ-
ში.

რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გეთანხმე-
ბი. მტრის ხატების შექმნა დღეს აბსურდია,
ექსპრესიის იმდენი საშუალებაა, იმდენი პო-
ლუსია, რომ ყველა ოპონენტის თუ ინდიფერ-
ენტული ობიექტის კონსოლიდირება რაიმე
ერთი ნიშის ქვეშ ჩანასახშივე მკვდარი მცდე-
ლობაა, რომც მოინდომო. თან საკუთარი თავის
მარგინალიზაციისკენ მიმართული მოქმედებე-
ბია, რაც ასევე არ არის სახარბიელო. ასეთი ად-
ამიანებისთვის ვოლიერები უკვე მზადაა. მე
ზოგადად ამ "გაუნათლებლობის" წინააღმდეგ
(მათ შორის საკუთარი) მივიტანე იერიში და არა
კონკრეტული გამოვლინებების ან თუნდაც
პიროვნებების წინააღმდეგ. თაობებად დაყოფა
არ მიყვარს, მაგრამ, აი, ჩემს თაობაში მიდგო-
მა უფრო პროფანულია, ვიდრე დავუშვათ
თქვენთან იყო. ის "შვებით ამოსუნთქვა" ახლა
უფრო მძაფრია, გაჩნდა რა ახალი სარკმლები
ლიტერატურაში შესაღწევად. როგორც წინა

წერილში გითხარი, ყველაფერი გლამურზეა აგებული. ფილტრაციის პროცესიც თავისთავად იქნება. კი, მაგრამ ეს პროცესიც ვიღაცის ხელში გაივლის, ხო? ადამიანების, რომლებიც ამ ნიადაგიდან აღმოცენდნენ და (მარტივი მაგალითი) თუნდაც პოეზიის შესაფასებლად რაღაც უცნაური მანქანები მოუგონიათ. კერძოდ, ბურძგლომეტრი. მიიჩნევენ, რომ ლექსის ავ-კარგზე მსჯელობა, მისი ლიტმცოდნეობითი ანალიზი გაუმართლებელია. მთავარი საზომი ლექსის ლირებულებისა კი ის არის, თუ რამდენად, რა სიძლიერითა და ხანგრძლივობით ბურძგლავს ან აურიალებს მკითხველს მისი წაკითხვის ან მოსმენისას. ეს სულ ჩემი საყვარელი მწერლის გურამ დოჩანაშვილის ბრალი მგონია, უფრო ზუსტად, მისი ნაწარმოებისა "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა". წამით დავუშვათ, ეს მართლაც ასეა: არ არსებობს ლიტმცოდნეობა, მისი დარგები პოეტიკა და ლექსმცოდნეობა. როგორ უნდა მოვახერხოთ დადგენა, თუ ვის რა სიძლიერითა და ხანგრძლივობით ბურძგლავს ან აურიალებს ამა თუ იმ ლექსის გაცნობისას ან, მაგალითად, როგორია მკითხველი საზოგადოებ-

ის ბურძგვლადობა-ურიალებადობის საერთო კოეფიციენტი?

იქნებ პარალინგვისტიკის, ბიოფიზიკისა და ფსიქო-ფიზიოლოგიის გადაკვეთაზე საფუძველი ჩაყროდა რამე თანამედროვე კროსდისციპლინარულ დარგს, ბურძგვლისტიკას ან ბურძგვლოლოგიას, რომელიც მრავალი ინდივიდუალური და ჯგუფური ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით შექმნიდა უნიკალურ აპარატს - ბურძგლომერს. წარმოიდგინე, რა პერსპექტივები იშლება! შეიძენ პორტატულ ბურძგლომერს, მოკალათდები შენთვის სადმე, მყუდრო კუთხეში, გახსნი კოლოფს, ამოილებ აპარატს, რომელიც წნევის საზომს ჰგავს, წამოიცვამ მაჯაზე, ღილაკზე ხელის დაჭერით ამოირჩევ ორიდან ერთ რეჟიმს: ბურძგვლას ან ურიალს. ჯერ წაიკითხავ, მაგალითად, დანტეს სონეტებს, დახედავ ციფერბლატიან ან ელექტრონულ-ციფრულ ეკრანს, ჩაინიშნავ, რამდენი ბრძგ/წმ ან ურ/წამია, მერე საკუთარ ნაწერისასაც გაზომავ და ხელად გაიგებ, რამდენით ჩამორჩები ან უსწრებ კლასიკას.

მოკლედ, მე აქ ვხუმრობ და მართლა ასეა, დედას გეფიცები:). ვის როგორ დაბურძგლავს

რაღაც ლექსზე, შეფასების მთავარი კრიტერიუმია. ყველა სწავლება თუ თეორიული მემკვიდრეობა უგულველყოფილია. მონოპოლიას საზოგადოებრივ აზრზე მასს-მედია საშუალებები ფლობენ და ამ საშუალებებს ინფორმაციულ ნაკადს ეს ხალხი უერთებს სხვა თანამედროვე ინფორმაციული საშუალებების გამოყენებით. მერე ეს თრეში განზოგადდება მთელს კულტურულ ლანდშაფტზე. ბოლოს იქამდე მიდის საქმე, რომ მასწავლებლები ბავშვებს ისეთ ჭუჭყიან სტიგმა-სტერეოტიპებს უნერგავენ თავში, რომ შედეგად ვიღებთ ლიპიან თამადას, რომელიც საუკეთესოდ ფლობს ორ ხაზს სიყვარულის სადღეგრძელოსთვის გალაქტიონის ცნობილი ლექსიდან (ოლონდ პრინციპულად ეს ორი ხაზი) და ორსაც - ვეფხისტყაოსნიდან. და იგივე კარლოს ლექსებს ლექსებად არ აღიქვავენ ეგ მართლა ფოთის ელევატორთან დაბადებულები:). არ ვიცი მე, მომავალში რა დაროგორ იქნება. ამაზე არც ვფიქრობ, "აქ და ახლა", აი, ჩემი დევიზი. აქ და ახლა მე თავს არ ვგრძნობ კომფორტულად.

კარგად თქვი, აზრების გადმოცემა კი არა, მხატვრულად გადმოცემაო. ერთი რამ გამახ-

სენდა: ამასწინათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში იყო რაღაც ასეთი შეკრება. ამერიკულ ფილმებში მინახავს ჯგუფური სეანსები ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის, იდენტური იყო ამათი პოეზიის საღამოსი. სრულიად შემთხვევით მოვხვდით. არც ალექსაა მაიაკოვსკი და არც მე მაგის პადდელნიკი ბურლიუკი, მაგრამ ფეხებიც დავაბაკუნეთ და ხმამაღლაც შემოვძახეთ ერთი-ორი. ალექსა წამოხტა, ახტა მაგიდაზე და კარლოს "მერცხლების" კითხვა დაიწყო. მოკლედ ერთი ამბავი ატყდა. იმის მერე საერთოდ მოგვიძულეს. მაგრამ მნიშვნელოვანი ამ ამბავში სხვარამეა. იმ სიტუაციის დედა ვატირე, კარლო კაჭარავა პოეზიის მაგისტრალური ხაზის წინააღმდეგ რაღაც ალტერნატივად რომ მოგვევლინება. ის ხომ თავადაა აკადემია, ხომ კულტურაა და არა კონტრკულტურა. მაგრამ, აბა, კარლო? მარტო მისი ესეები რომ დაბეჭდოს კაცმა, ერთ სქელტანიან სახელმძღვანელოს მიიღებ, ასე თუ ისე, თანამედროვე ხელოვნების. მაგრამ ვინ წაიკითხავს? ისევ ამ ცრუ ორგაზმებით სავსე ლექსებით და ერთმანეთის წაქეზებით ურჩევნიათ დაკავებულები იყვნენ.

მოკლედ, ცინიზმის გარდა მე ამ ახალგაზრდა "ლიტერატურულ გარემოსთან" საურთიერთო ენა არ დამრჩენია. გაგიკვირდება და ასეთი მიმიღეს. მეტიც, როგორც თავისიანზე, ჩემზე ისე საუბრობენ, "ძველმოდურების" წინააღმდეგ ბრძოლაში.

* იგულისხმება www.literatura.ge

** იგულისხმება ქურნალი "ჩვენი მწერლობა", №4(56), 2008, გვ. 56, კერძოდ, შემდეგი მონაკვეთი იქ მოტანილი დიალოგიდან:

მანანა კვაჭანტირაძე: [...] ავტორები ძალიან მგრძნობიარენი არიან კრიტიკის მიმართ. ისინი ისედაც სტრიქონებს შუა კითხულობენ და ამიტომ მგონია, რომ არ არის საჭირო პირდაპირ და უხეშად ვუთხრათ მათ ჩვენი სათქმელი.

ლევან ბრეგაძე: გააჩნია რა პრეტენზიები აქვს მწერალს. დათო ბარბაქაძის საიტი რომ ნახოთ, იქ ისეთი ამბავი ხდება, გეონება რუსთაველი იყოს.

მანანა კვაჭანტირაძე: გეთანხმებით, ბატონო ლევან, კონკრეტულ შემთხვევებში უნდა ჩაუკეტო კიდევაც ავტორს გზა მწერლობისკენ.

ამ მასალასთან დაკავშირებით, დათო ბარბაქაძემ ქურნალის რედაქციას წერილი გაუგზავნა, მაგრამ

რედაქტორმა იგი არ გამოაქვეყნა. აი, ეს წერილი: ძვირფასო როსტომ!

ამასნინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ მიჩვენა უურნალ "ჩვენი მწერლობის" 2008 წლის მე-4 ნომრის 56-ე გვერდი, სადაც სიტყვასიტყვით აღნიშნულია შემდეგი: "დათო ბარბაქაძის საიტი რომ ნახოთ, იქ ისეთი ამბავი ხდება, გეგონება რუსთაველი იყოს". ქართული ბეჭდვითი სიტყვა რომ მდაბიოთა თვითგამოხატვის კეთილშობილურ საქმეს ყოველთვის უნაკლოდ ემსახურებოდა და ამ მიმართულებით მისი შესაძლებლობები ამოუწურავია, მე ეს არ მიკვირს. შესაბამისად, არც ამ კონკრეტული შემთხვევის განზოგადების საჭიროებას ვხედავ. აი, იმის აუცილებლობას კი ნამდვილად ვხედავ, რომ უურნალის რედაქციამ კეთილი ინებოს, დეზინფორმატორს ყურში ხელი ჩაავლოს და უტიფრად მოტყუებული ყველა მკითხველის ნინაშე ბოდიში მოახდევინოს. არც ის იქნებოდა ურიგო, რედაქციაც თუ მოუხდიდა ბოდიშს მოტყუებულ მკითხველს. დამერწმუნე, საქართველოში, სადაც ყველა ცოცხალი და არაცოცხალი არსება მხოლოდ იმის სამტკიცებლად ჩნდება, თუ როგორი კარგია თვითონ და როგორი ცუდები არიან სხვები, არასასურველი ადამიანის დისკრედიტაციისთვის დახარჯული შრომა ყოველთვის დიდ პატივში იქნება და ერთი ბოდიში მას აღნიშნული პატივიდან ამოვკანის საშიშროებთ ვერ დაემუქრება. "დათო ბარბაქაძის საიტი" არც არასდროს არსებულა და არც ახლა არსებობს და, არ ვიცი, ვის ან სად შეეძლო მისი

ნახვა. ხოლო რაც არსებობს, იმის დანახვას საქართველოში ისევე ვერავის მოვთხოვ, როგორც – ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ღირსების პატივისცემას. ვწუხვარ, რომ ვერც ამჯერად გავახარებ საკულისო-სამეცნიერო ფოლკლორის ოსტატებს და ამ მომართვას ჩემს ნაცნობ-მეგობრებს შორის დაუყონებლივ გავავრცელებ.

საუკეთესო სურვილებით,

დათო ბარბაქაძე

05.10.2008

*** დომინიკ ირტენკაუფი, ახალგაზრდა გერმანელი მწერალი და მეცნიერი, რომელიც 2007 წელს სამი თვით იმყოფებოდა საქართველოში, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტიპენდიანტი.

**** კარლ ვოლფი, გერმანელი პოეტი და გიტარისტი, რომელიც, ასევე, 2007 წელს, იმავე სტიპენდიით იყო მოწვეული საქართველოში, რომლითაც - დომინიკ ირტენკაუფი.

წიგნი დაისტამბა გამომცემლობა
“უნივერსალში”

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ტ.: 22 36 09